# მემკვიდრეობანი

დავით ალმაშენებლის (პლეხანოვის) გამზირის ტრადიციათა აღორძინების საზოგადოების გაზეთი

№5(17) ✤ მაისი
1999 წელი
ფასი 50 თეთრი



# კიდევაც დაიზრდებიან

## 26 მაისი



**ივერთ ტახტზე მზე აენთო!**

3 — ისტორია



**ნაწყვეტი იოსებ ნონეშვილის პოემიდან „ამბავი ერთი ქალიშვილისა“**

5 — გახსენება



**...კაცი, რომელიც დააკლდა თბილისს...**

10 — მოგონება



**ბორის პაიჭაძე „ფეხბურთის კარუზო“**

11 — გახსენება

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნოე ჟორდანიას სიტყვა

*ნოე ჟორდანიას მიერ 1918 წლის 26 თებერვლის წარმოთქმული სიტყვა დამოუკიდებელი საქართველოს 6 თვის თავზე. ეს დოკუმენტი შემონახულია საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცულ ფონდში „საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი"*

მოქალაქენო, ამ ასი წლის წინათ საქართველომ ხელი აიღო თავის დამოუკიდებლობაზე.

ამ 6 თვის წინათ იმავე საქართველომ გამოაცხადა თავისი დამოუკიდებლობა. (ვლასა მგელაძე – გაუმარჯოს დამოუკიდებლობას).

ასეთი ორი ერთი მეორის მოპირდაპირე, ერთი მეორის მოწინააღმდეგე აქტი არის იმავე დროს აქტი ჩვენი ცხოვრების ძირითადი პრობლემებისა. ამ ორ აქტს შორის არის ერთი დიდი რამ საერთო, ის რომ ორივე აქტი გამოწვეული იყო ერთი და იგივე მიზეზით, ამ ორმა აქტმა მიაღწია ერთსა და იმავე შედეგს...

აქედან თქვენ ხედავთ, რომ 26 მაისის აქტი არ ყოფილა აქტი შემთხვევითი, აქტი უცაბედი, მოგონილი რომელიმე პირის, ჯგუფის ან პარტიის მიერ. არა ბატონებო, ეს აქტი იყო ისტორიული აუცილებლობისა და ხალხის გულთან ამოხეთქილი. ამ აქტით საქართველო გადაურჩა განადგურებას, ამ აქტის საშუალებით საქართველოში არ შემოსულა შეიარაღებული ძალა ჩვენს სამტროდ.

ამ აქტით შემოვიდა, მართლა შეიარაღებული ძალა ჩვენში, მაგრამ შემოვიდა ჩვენს საშველად და იმედი გვაქვს ევროპული ძალა იქნება ჩვენს სამოყვროდ და სამეგობროდ. ეს იმიტომ, რომ მთელი ჩვენი სულისკვეთება და ლტოლვილება, დაწყებული მეთერთმეტე საუკუნიდან იყო ის, რომ რამენაირად მოვშორებულიყავით აზიურ კულტურას და შევსულიყავით ევროპულ კულტურაში.

თუკი გერმანიის ძველი რეჟიმის ჯარები ჩვენ აქ მოგვეპყრნენ სათუთად და ოდნავად არ შელახეს ჩვენი ერის სუვერენობა, მით უფრო ჩვენ მოველით ასეთ მოპყრობას ახალი გერმანიისაგან...

ასე, რომ ჩვენ არ გვმართებას ცრემლთა ფრქვევა და არც უიმედობა... ჩვენ უნდა ვიდგეთ მაგრად ჩვენს ისტორიულ გზაზე და უნდა ვთქვათ გადაჭრით და ხმამაღლა არ გვინდა არც ქაოსი, არც ბარბაროსობა, საიდანაც უნდა მოდიოდეს ის, მოდიოდეს იგი სამხრეთიდან თუ ჩრდილოეთიდან **(ტაში)**.

ჩვენ დღეს შეგვიძლია შევიდეთ ევროპულ ხალხთა ოჯახში პირდაპირ. სრულიად უშუამავლოდ, დღეს უკვე ჩვენ ამ გზაზე ვართ და ჩვენ ჩვენის ნებით არ გადავუხვევთ **(ტაში)**.

მაგრამ გვეტყვიან ეს თქვენი მშვენიერი სურვილია... და სურვილებით არავინ შესულა სამოთხეშიო. დიახ, ეს ჩვენი სურვილია, მაგრამ არა სურვილი უნიადაგო, არა ისეთი რომელსაც არ ჰქონდეს თავისი საბუთები თუ ვინმე იფიქრებს, რომ ამ ჩვენი სურვილით ასეთი მსუბუქის ბარგით ვაპირებთ ხალხთა შორის თანასწორობის მოპოვებას, ის უეჭველად შემცდარია...

ჩვენ შეგვიძლია თვით უსასტიკესი არეოპაგის წინაშეც წარვსდგეთ იმ საბუთებით, რომელიც ჩვენ გვაქვს, ამ საბუთად ჩვენ გვაქვს 6 თვის ისტორია. მოხდა ერთი დიდი ფაქტი, ის ფაქტი, რომელსაც ვერ უარყოფს ვერავინ. ეს ფაქტი გახლავთ ის, რომ რუსეთის დიდი რევოლუცია, რევოლუცია თებერვლისა. მთელი რუსეთის უზარმაზარ სივრცეზე მხოლოდ აქ საქართველოში განმტკიცდა, აქ შეისხა სისხლი და ხორცი.

თებერვლის მოპოვებულმა თავისუფლებამ ააფორიაქა მთელი რუსეთი, ააფორიაქა ყველა ხალხი, იქ გამოიწვია განაწილება იმგვარად, რომ ერთის მხრივ აამუშავა ანარქია და მეორეს მხრივ, აამუშავა რეაქცია.

მარტო აქ, საქართველოში ამ თავისუფლებამ იპოვა თავისი ღირსეული პატრონი და გონიერი მოყვარენი, მან ვერ გააქანა ჩვენი ხალხი ვერც ანარქიასა და ვერც რეაქციისაკენ. დემოკრატია მხოლოდ აქ იშვა და აქ დაეპატრონა ქვეყანას. ერთი წლის რევოლუციის ქარტეხილმა აქ გამოსჭედა ხალხი თავის თავის პატრონი და თავის მმართველი.

მოსპეთ ეს თავისუფლება და გაჩაღდება დიდი არევ-დარევა. მოსპეთ წესრიგი და მოისპობა თავისუფლება საქართველოში. აი ამ ორი ელემენტების შედუღება თავისუფლების და მოქალაქეობრივი წესრიგის, ქმნის ჩვენს ხალხისაგან პოლიტიკურ დემოკრატიას. და აი, სწორედ ამ საბუთით ჩვენ ვამბობთ, რომ ჩვენ ვართ უკვე ხალხი ევროპული და დემოკრატიული.

აქედან თქვენ ხედავთ, ეს უნდა დაინახოს ჩვენმა მტერმა და მოყვარემაც, რომ ჩვენ არა მარტო გვინდა ვიყვეთ დამოუკიდებელნი, არამედ ჩვენ შეგვიძლიან ვიყვნეთ დამოუკიდებელნი.

ამ ექვსი თვის განმავლობაში ჩვენ მივმართეთ ყოველივე ზომებს, რომ ამ ჩვენს დამოუკიდებლობას მისცემოდა შესაფერი იურიდიული და კონსტიტუციური ნორმები.

ჩვენი პარლამენტი, ჩვენი მთავრობა, ჩვენი უწყებანი ამ საქმიან მუშაობაში არიან. თქვენ იცით, რომ 6 თვის წინათ ჩვენ დავიწყეთ ჩვენი სახელმწიფოს შენება თითქმის ცარიელ ადგილიდან.

წინათ იყო ბრძოლა თავისუფლებისათვის, ბრძოლა რევოლუციისათვის, არ იყო დრო, რომ ჩვენ გვემუშავნა აღმშენებლობის საქმეზე.

ამ უკანასკნელი ექვსი თვის განმავლობაში ჩვენ შევუდექით მოპოვებული თავისუფლების კონსტიტუციურ კალაპოტში ჩამოყალიბებას. ჩვენ ამ 6 თვის განმავლობაში მოვაწყვეთ აპარატი ადმინისტრაციული, შემოვიღეთ ერობა, მოვახდინეთ აგრარული რეფორმა და, რაც უფრო საყურადღებოა ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ იმას, რომ ჩვენს ნორჩ სახელმწიფოს ჰქონოდა საკმარისი ქონება, რომ შეეძლო დაწყება ფართე სახელმწიფოებრივი მეურნეობისა. უნდა ვთქვათ, რომ ამ მხრივ ჩვენი პატარა რესპუბლიკა შეადგენს დიდ გამონაკლისს, არა მგონია რომ რომელიმე არამც თუ პატარა, არამედ დიდ რესპუბლიკას ჰქონდეს იმდენი უძრავი ქონება რამდენიც დღეს ჩვენ რესპუბლიკას აქვს. ჩვენ მოვაწყვეთ ამ ექვსი თვის განმავლობაში ჯარი, ტამოჟნები, შევიმუშავეთ ახალი გადასახადების სისტემა, საუკეთესო მიმოსვლა, გავამრავლეთ ფოსტა-ტელეგრაფი თითქმის ორჯერ. ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ იმას, რომ ხალხი დაგვეკავშირებინა სწავლა-განათლებას მის სამშობლო ენაზე, გავამრავლეთ სახალხო სკოლები იქ, სადაც არ იყო: შევქმენით პირველი სახელმწიფო უნივერსიტეტი.




ერთი სიტყვით, ჩვენ მივიღეთ ყოველნაირი ზომები, რომ ჩვენი სახელმწიფო მართლა დამსგავსებოდა სახელმწიფოს და არავის არ ეთქვა ჩვენთვის თქვენ ერთ ადგილას იდექითო.

ჩვენ მივაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება სამართლის შექმნას გასაგებ ენაზე, მოვახდინეთ სასამართლოს სრული რეორგანიზაცია.

თქვენი ყურადღება მინდა მივაქციო იმ გარემოებას, რომ მუშაობა მოგვიხდა არა მარტო საქართველოსათვის, არამედ რუსეთისთვისაც.

ჩვენი მტრები ავრცელებდნენ ხმებს, ეს იბეჭდება არა აქ, არამედ იქ სადაც მაინც და მაინც ჩვენს ოჯახზე არა იციან რა, რომ ჩვენ ალვმართეთ ერთნაირი დევნა რუსების, განსაკუთრებით რუსების ოფიცრების წინააღმდეგ, ჩვენ შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ საქართველოდან დიდად ღირსეულად გავაცილეთ რუსეთი და მისი აქ მყოფი წარმომადგენლები,.

აქ გვაქვს ციფრები, რომლის წინაშეც უნდა დუმდნენ ყველა ორგულნი და ცილის მწამებელნი.

26 მაისიდან 20 ნოემბრამდის ჩვენ დავხარჯეთ რუსეთის მაგივრად შემდეგი თანხები: ჩვენ მოვახდინეთ ფრონტის და ფრონტთან დაკავშირებული დაწესებულებების ლიკვიდაცია. თბილისის ხაზინიდან ამისათვის მივიღეთ 21 მლ. 22 ათასი მან., საველე ხაზინიდან 9 მილ. 79 ათასი, სენაკის ხაზინიდან 736 ათასი, სენაკის ხაზინიდან გავიდა 1 მილიონი, ფოთის ხაზინიდან 736 ათასი მან... ამას გარდა, ჩვენ სამხედრო პირთა ოჯახებს მივეცით 1 მლნ. 32 ათასი.

თქვენ კარგად იცით, რომ აუარებელი ფული იყო დაგროვილი შემნახველ კასებში და ბანკებში. ეს ყველა წაღებული იყო პეტროგრადში, იქ დაიხარჯა ომის საჭიროებისათვის. აგრეთვე ბანკებში შენახული ფული იყო წაღებული მოიჯარადრეთათვის სახელმწიფოს წარმომადგენლებისაგან. ეს ფულიც დაიხარჯა. – და აი, ჩვენ ამ მდგომარეობიდან გამოვიყვანეთ ეს შემნახველი კასები. ერთი სიტყვით, რუსეთის მაგივრად დაიხარჯა 6 თვეში 98 მლნ. 244 ათასი მან.

აი, ბატონებო, – ამის შემდეგ ჩვენ გვეუბნებიან, რომ ჩვენ აქედან ვინმე განვდევნეთ, ვინმეს უდიერად მოვექეცით და აქედან, ჩვენ დამოუკიდებლობა ვიხმარეთ სხვის მტროდ.

აი, ბატონებო, ეს ციფრები ამგვარად ლაღადებენ იმას, რომ ჩვენ თვითონ ღარიბმა ერმა და ასე ვთქვათ მჭლე ხაზინამ მიუხედავად თავისი სიღარიბისა, 98 მილიონი მან. გაიღეთ სხვისი საჭიროებისათვის, და თუ მაინც ცილს გვწამებენ და თუ მაინც სწერენ და ამბობენ, რომ ჩვენ აქედან ვერეკებოდით. გავრეკეთ ძალით ვინმე – ამის მიზეზი სულ სხვაა. ეს გამომდინარეობს მტრობით ჩვენი დამოუკიდებლობისადმი, მათ ალაპარაკებთ შოვინისტური და რეაქციული სულისკვეთება, მაგრამ აქ ვიტყვით: ხელი შორს, ნურას უკაცრავად **(ტაში)**.

მხოლოდ აქ ჩვენ საქართველოში შევძელით შეგვექმნა ერთნაირი პოლიტიკური თავისუფალი და წესიერი მართვა-გამგეობა. მხოლოდ დაუძინებელ მტერს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისა შეუძლია გვითხრას: აიღეთ ხელი და გადაეშვით შორს, იქ გამოუცნობ ქაოსში და რალაც რეაქციის მხარეში, ჩვენ ამას არ ვიზამთ.

ჩვენ გვსურს ჩვენებური წეს-წყობილება. ჩვენ მოხარული ვიქნებით, რუსეთის, ჩვენს ირგვლივ მოძმე რესპუბლიკები, და ერები იქნებიან ისეთ პირობებში და შექმნიან ისეთი წესწყობილებას, როგორიც ჩვენშია. მერე, განა ეს მოითხოვს იმას, რომ ჩვენი დამოუკიდებლობა მოვკლათ, არა დემოკრატიული წეს-წყობილება არსად არ მოითხოვს, რომ მეორე სახელმწიფოს დემოკრატია დაიხაგროს. ვინც ამას ფიქრობს, იმათ არავითარი საერთო არა აქვს დემოკრატიასთან. ისინი სულ სხვა სურვილებით არიან გატაცებულნი, ჩვენ ამ სურვილების წინააღმდეგ მივიღებთ ყოველნაირ საშუალებას რომ ეს სურვილები დარჩნენ მხოლოდ და მხოლოდ სურვილებად. ჩვენ ამ სახელმწიფოებთან ყოველთვის გვექნება მჭიდრო ეკონომიური და პოლიტიკური კავშირი. მხოლოდ მათგან ჩვენ მოვითხოვთ ერთ პირობას: როგორც ჩვენ ვცნობთ მათ სახელმწიფოს, ისე მათ უნდა ცნონ ჩვენი სახელმწიფო და მათ მოლაპარაკება უნდა გამართონ ჩვენთან, ჩვენ მათთან, როგორც თანასწორი, თანასწორთან.

რაც ჩვენ გვსურს ჩვენთვის – ის გვსურს სხვებისათვის. აი, ამ მოკლე მცნებით არის გამსჭვალული ჩვენი საგარეო პოლიტიკა. არავის შეუძლია და ვერც დაგვწამებს, რომ ჩვენი დამოუკიდებელი რესპუბლიკა ამოძრავებდა რომელიმე დამოუკიდებელი რესპუბლიკის ან რომელიმე ერის წინააღმდეგ.

მხოლოდ ნება მიბოძეთ გითხრათ, რომ ჩვენი ბედი არის ჩვენს ხელში, საქართველოს რესპუბლიკა იარსებებს – თუ ჩვენ შიგნით და გარეთ მტკიცედ ვიდგებით ამ ნიადაგზე.

გისურვებთ თქვენ და ჩვენ, უსურვოთ ჩვენს შთამომავლობას, რომ 26 მაისის აქტი გადაიქცეს მუდმივ დღესასწაულად.

ეს აქტი არის აქტი გამარჯვებისა საქართველოს დემოკრატიისა და მისი თავისუფლებისა. **(მქუხარე ტაში)**...

# ივერთ ტახტზე მზე აენთო!

საქართველოს ბრწყინვალე ხანის თანამედროვე იოანე შავთელი გადმოგვცემს:

*– „თამარი იყო:*
*თვალი ბრმათა, თვით*
*მზრდელი ყრმათა,*
*მშიერთა პური,*
*უსახლ-სართული,*
*მამა ობოლთა,*
*მსაჯული ქვრივთა,*
*შიშველთ სამოსლად*
*მოვლინებული“.*

ამიტომ იქცა თამარი ქართველი ადამიანის მარადიულ გულისთქმად, სიყვარულის წყაროდ, მორალურ სინათლედ, ეროვნულ სიდიადედ, მშობლიური ხალხის უკვდავებად და მომავლის იმედად.

თამარის დიდებული სახე, მისი ზღაპრული ღვაწლი ქართველი ერის წინაშე, მემატიანეების, ეპიგრაფიკული ძეგლების, ისტორიული საბუთების, წარწერებისა და ფრესკების გარდა, შემოგვინახა ხალხურმა შემოქმედებითმა გენიამ – ლეგენდებში, ლექსებსა და სიმღერებში უკვდავყო ცხოვრება თამარისა; მანვე აანთო ყოველი ქართველის სულში თამარისადმი სიყვარულის ჩაუქრობელი ცეცხლი...

ქართველმა ერმა ქვეყნის სწორუპოვარი საჭეთმპყრობელი აიყვანა მარადისობის მწვერვალზე და აღიარა ყოვლისშემძლე არსებად, ქართველი ხალხის ყველაზე სათაყვანებელ წმინდანად.

ქართველი ერისათვის იგი იყო „დედა ქართვლისა“, სახელოვანი ხელმწიფე და დიდებული შთამომავალი დავით წინასწარმეტყველისა, სამგზის სანატრელი დედოფალი დედოფალთა, ნათელი და ბრწყინვალება ქართველთა, გვირგვინი ყოველთა ხელმწიფეთა, სამების მეოთხე წევრი, „შვებაი და იმედი უიმედო-ქმნილთაი“... ხალხმა თამარი გაალმერთა, ღვთისმშობელს შეადარა, მის სახელზე ეკლესიები ააგო, მისი უკვდავი სახე ყოვლად წმინდათა გვერდით მოხატა, შექმნა დღესასწაულები, საგალობლები...

თამარ-მზისხატება ხალხმა სნეულთა და დავრდომილთა მკურნალად აქცია.

სწორედ ამიტომ, რაც კი ძვირფასი შექმნილია ქართული ძეგლების სახით (ეკლესია-მონასტრები, ციხე-კოშკები, საუღელტეხილო გზები და ხიდები, არხები, ქარვასლები, დაბები და ქალაქები), მადლიერი ერი ყველაფერს ამას „ღვთისსწორ“ თამარს მიაწერს.



### თამარდედა

ხუხილის შტო მსხმოიარობს,
ვაზი ჰშვენის შესახედად...
ცოტანი ვართ ქართველები,
გაგვამრავლე, თამარდედა!
ზოვსა სძინავს მარაბდაში,
და ქერჩში წევს ზოგი მარად,
არ ყოფილან არადანში,
ყველა ნაღდად გადაიწვა!
ხალხის გულის ასამგერი,
ჩვენ ბევრი გვაქვს დასაწერი,
ჩვენ ბევრი გვაქვს ასაგები
შენობანი, სართულები,
გასათხრელი როსხმულები,
დასაკიდი ნათურები,
ჩვენ ბევრი გვაქვს დასარგველი
ვაზი, ვარდი, ზედიზედა,
ჩვენ ბევრი გვაქვს გასარბენი,
მომავალის დასახედად,
დაგვეხმარე, მოგვეშველე
გაგვამრავლე თამარდედა!
შენი კაბის ნათელი მწვავს,
შენი ღიმი მეიმედა!
მკერდს მიურდნობილ
ურმით რომ გხედავ,
რა მიყვარხარ, თამარდედა!
უმზესო და უნაზესო
თავზე გადგა ნათლის შუქი,
შენ ხომ სავსე ვენახი ხარ,
დასხმულ მტევნის სიჭაბუკით.
შენ ხომ, დაო და დედაო,
რიცხვმცირობას ჩვენსას ხედავ,
ცოტანი ვართ ქართველები,
გაგვიმართლე, თამარდედა!

*გიორგი ლეონიძე*

აბა, მზის მადლს ვინ გაზომავს,
ან თუ, თამარ მეფის წყალობას,
მისი სიბრძნე-კდემის ხოტბას,
განა მალუძს, ზაფხულ წყვილსა?
ივერთ ტახტზე ქალი დასვეს,
სიკეთის და სიბრძნის ზრახვით,
დავით მეფის შვილთაშვილი,
ქალი თამარ, მთვარის სახით.
ათორმეტ კამთ სადრეკლზე,
მეფის ქაპანს სძლია ქალმა,
ისტორიის ხმალკვეთებში,
ერი იხსნა მისმა ფარმა.
ქალურ კდემამ აამაღლა
ერის დროშა სხივის დარად,
სამრეკლოთა ზარის დანგი,
ევროპასაც მისწვდა კარად.
ივერთ ტახტზე მზე აენთო!
სათნო სულის მგალობელი,
მზის სადარი, გონიერი,
უპოვართა მწყალობელი.
მან პირველმა, კანონმდებლად,
პარლამენტი „დასვა კარვად“,
ევრაზიის მხცოვან ყამხვლას,
არც რა ახსოვს მასზე მთავრად.
მან პირველმა გააუქმა
კაცთ სიკვდილით დასჯის წესი,
და აანთო ჰუმანიზმა,
დემოკრატის წმიდა კვესი.
მზრუნველ ხელით აღაშენა,
თურქ-სელჩუკთა მონაზრევი,
ხრა-სასახლე, ხიდი, ციხე,
ეკლესია, მონასტრები;
დიდ წინაპრის სულსა ვფიცავთ,
თამარ მეფის სახელს ქველსა,
მისი სახით ერი ხედავს,
სათნოება-კდემის ღმერთსა.

**10.03.1999წ.**

*თეიმურაზ ლალაშვილი*

## შეუდარებელი თამარები



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პათოლოგიური ანატომიის კათედრის პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მედიცინის მეცნიერებათა და სამეცნიერო ბიოლოგიური აკადემიის აკადემიკოსი ქალბატონი თამარ დეკანოსიძე, დღესაც ახალგაზრდული ენერგიით და შემართებით უძღვება მედიცინის ამ ურთულეს დარგს.

ნიშანდობლივია, რომ პათანატომიის დარგში ქალი ნაკლებად ფიგურირებს, რადგან ამ სპეციალობას, გარდა დიდი ცოდნა-გამოცდილებისა, ახლავს დიდი ემოციური დატვირთვაც.

ვაჟკაცური სული და შემართება, მამაკაცური გამჭრიახობა და მტკიცე გაბედული ხელი, რითაც განგებამ უხვად დააჯილდოვა ეს შესანიშნავი პიროვნება. მრავალი წლების განმავლობში ემსახურება იმ საქმეს, რომელსაც დიდი ძალისხმევა სჭირდება.

მკაცრი, მომთხოვნი, მაგრამ ამავე დროს თბილი და კეთილი ქალბატონი დღესაც განაგრძობს პედაგოგიურ მოღვაწეობას.

მის მიერ აღზრდილ მრავალრიცხოვან თაობებს ემატება, თამარ დეკანოსიძისეული შემართების სპეციალისტთა ახალი კადრები, რომლებიც უანგაროდ, თავგანწირვით და ერთგულებით მოემსახურებიან სამედიცინო მეცნიერების ამ დარგს.

მაგალითი – თამარ დეკანოსიძე.

გვეამაყება, რომ ქალბატონი თამარი ჩვენი თანაუბნელია. „ხარაგაული, პლეხანოვის გამზირი, რესპუბლიკური საავადმყოფო, (პლეხანოვის გამზირი №60) და მარჯანიშვილის თეატრი, ჩემთვის სიცოცხლის მომნიჭებელი წმინდა ადგილებია: ხარაგაულში დავიბადე, ხარაგაულში მაქვს შეგნებული საქართველოს არსი და ქართული ფენომენი. პლეხანო-



ვის გამზირზე 1928 წლიდან ვცხოვრობდი და ყოველდღიურად ვხვდებოდი პიროვნებებს, რომლებიც ჩემთვის კაცობის ეტალონები ბრძანდებოდნენ“. ეს სიტყვები ეკუთვნის ქალბატონ თამარ დეკანოსიძეს და ჩვენც ვუსურვებთ, რომ ასეთი დიდი სიყვარული და სათუთი ნოსტალგია მრავალჟამიერ გაჰყოლოდეს მას ცხოვრების დიდ გზაზე.

იცოცხლეთ და იდღეგრძელეთ მრავალჟამიერ!!!

* * *

საქართველოს სახალხო არტისტი, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის მფლობელი, ქალბატონი თამარ გაბარაშვილი დღეს მოღვაწეობს თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიაში და ნიჭიერთა ათწლედში. თვითონ ყოფილი მოსწავლე ნიჭიერთა ათწლედისა, როგორც ნიჭიერი და ძლიერი კადრი, მეათე კლასიდან კურსდაუმთავრებლად აბარებს თბილისის კონსერვატორიაში და მეორე კურსიდან სწავლას აგრძელებს მოსკოვის კონსერვატორიაში, რომლის დამთავრებისათანავე ირიცხება ასპირანტურაში. მთელი მოსკოვური სტუდენტური და შემოქმედებითი წლები დაკავშირებულია დიდ მაესტრო და პედაგოგთან, მსოფლიო მნიშვნელობის მუსიკოსთან მსტისლავ რასტრაპოვიჩთან. ქალბატონ თამარის საკონცერტო მოღვაწეობა ათეულ წლებს მოითვლის და დღესაც იგი ენერგიულად მოღვაწეობს ესტრადაზე. გარდა ნიჭიერებისა და თავდადებისა საყვარელი საქმისადმი, იგი გახლავთ ქველმოქმედი ადამიანი. ქალბატონ თამარს შემთხვევით ხელში ჩაუვარდა ძველი ვიოლინო, ეს არის ვიოლინოსა და ალტის შუამავალი ინსტრუმენტი სახელწოდებით ვიოლდამური. რესტავრაციის შემდეგ იგი აღმოჩნდა სამუზეუმო კოლექციის ექსპონატი. დღემდე ლაიპციგის მუზეუმში ინახებოდა მისი კუთვნილი ადგილი.

ქალბატონმა თამარმა ეს ძვირფასი ექსპონატი გადასცა მუზეუმს, რითაც დიდი მადლობა დაიმსახურა გერმანელი ხალხისაგან.

შემოქმედებითი წვის, მომავალ თა-



ობაზე ერთგულებით გაჯერებული ადამიანი, ქალბატონი თამარი აგრძელებს თავის საინტერესო, საყვარელ საქმეს. აქვე უნდა გაგიმხილოთ საიდუმლოდ, ეს ხელოვანი ქალბატონი გამოირჩევა თავისი შესანიშნავი დიასახლისობით, არაჩვეულებრივი კულინარიით და ზღაპრულად მაგიდის გაფორმებით.

ხელოვანი, ხომ ყველაფერში ხელოვანია და ეს ასეც უნდა იყოს.

* * *

პატარა „სემიონოვნა“, როგორც კი გამოვიდა სცენაზე, მას შემდეგ ტაშით და დიდებით აგრძელებს შემოქმედებით გზას ესტრადაზე. პატარაობიდან არა, მგონი დაბადებიდან მღერის. სიმღერასაც გააჩნია, კი არ მღერის, ჭიკჭიკებს. განა გასაკვირია, ისეთ ოჯახში, როგორიც ლიზიკო და კუკური ჭოხონელიძეების ოჯახია, სადაც სიმღერის ტრფიალი ატმოსფერო სუფევს, მე მგონი კი არ ლაპარაკობენ, ერთმანეთს სასიმღერო გადაძახილებით ელაპარაკებიან.



ვის დაავიწყდება პირველი ბავშვთა საესტრადო ანსამბლი „მზიური“. ყველას კარგად გვახსოვს მაღალჩინოვანის გულამაჩუყებელი შეფასება „უჩვენეთ გოგონები მთელ მსოფლიოს და ომი აღარ იქნება“.

დღეს კი აღელვებულ მსოფლიოს როგორ სჭირდება დამშვიდება და დაწყნარება. იავნანამ, თამრიკოს მიერ შესრულებულმა იავნანამ, ჯანსულ კახიძის მიერ დაწერილმა ქართველი დედის დიდებულმა ჰანგმა, მისმა გულში ჩამწვდომმა მისადაგებულმა ხმამ და ოსტატობამ, მომცა უფლება განვაცხადო: „მოასმენინეთ ეს იავნანა მსოფლიოს, ეს საკმარისი აღმოჩნდება მისი დაშოშმინებისათვის“.

თამრიკო ორი შვილის დედა გახლავთ. ოჯახის მოფუსფუსე ულამაზესი დიასახლისი ყველაფერს ასწრებს, ყურადღების გარეშე არ ტოვებს არავის და, რაც მთავარია, თავისი შემოქმედების ზენიტშია. როდესაც ვუსმენთ, მომღერალს გადავყავართ იმ წვდომის ატმოსფეროში, რასაც დიდი განცდები ჰქვია, სადაც ადამიანი ითავისებს სულიერ მწუხარებას და ტკივილს, სიყვარულს, სინაზეს და, რაც მთავარია, ეზიარება შემსრულებლის დიდ ოსტატობას. ამას კი დიდი ხელოვნება ჰქვია.

უსმინეთ, მღერის თამარ ჭოხონელიძე!

# 9 მაისი ფაშიზმზე გამარჯვების დღეა!



## შოთა კენჭაძე

დაიბადა 1923 წელს ქალაქ თბილისში. 1954 წელს დაამთავრა ქალაქ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

1945 წლიდან მუშაობა დაიწყო შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში. არის დიდი სამამულო ომის მონაწილე. სამსახურის პერიოში მუშაობდა შ.ს.ს. პასუხსაგებ თანამდებობებზე.

1963 წლიდან 1973 წლამდე მუშაობდა პირველი მაისის მილიციის რაიგანყოფილების უფროსად.

მრავალჯერ იყო წახალისებული ფულადი ჯილდოთი, ფასიანი საჩუქრებით, სიგელებით. შოთა კენჭაძე იყო შ.ს.ს. საპატიო მუშაკი.

1979 წელს ივნისში გავიდა პენსიაზე. დამთავრებული ჰქონდა საკავშირო შინაგან საქმეთა სამინისტროს უმაღლესი სკოლა. 1953 წლიდან იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს დამსახურებული მუშაკი.

შოთა კენჭაძე იყო მეფეთუბნელი.



## ალექსანდრე კუნელაური

დაიბადა 1924 წელს სოფელ ახალი სოფელში, საგარეჯოს რაიონი. 1953 წელს დაამთავრა საკავშირო ინსტიტუტის იურიდიული ფაკულტეტი.

შინაგან საქმეთა ორგანოებში დაიწყო სამსახური 1947 წლიდან, მუშაობდა სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობებზე შინაგანი ორგანოების დანაყოფებში.

1973 წლის მარტში დაინიშნა ქალაქ თბილისის პირველი მაისის რაიგანყოფილების უფროსად და მუშაობდა 1978 წლამდე.

პენსიაზე გავიდა 1978 წელს ივნისში ავადმყოფობის გამო.

მრავალჯერ იყო წახალისებული ფულადი ჯილდოთი, ფასიანი საჩუქრებით,. სიგელებით. იყო შ.ს.ს. საპატიო მუშაკი. იყო სამამულო ომის მონაწილე, შინაგან საქმეთა სამინისტროს დამსახურებული თანამშრომელი.

ალექსანდრე კუნელაური იყო ჩვენი მეფეთუბნელი.

# 54





## უშანგი პაპუაშვილი

დაიბადა 1923 წელს 3 მაისს ქალაქ ხაშურში. 1947 წელს დაამთავრა თელავის პედაგოგიური ინსტიტუტი. სამამულო ომის დამთავრების შემდეგ სამსახური დაიწყო შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში. 1945 წლიდან მუშაობდა სამინისტროს პასუხსაგებ თანამდებობებზე. 1959 წლიდან 1961 წლამდე მუშაობდა პირველი მაისის რაიგანყოფილების უფროსად.

მრავალჯერ იყო წახალისებული ფულადი ჯილდოთი, ფასიანი საჩუქრებით და სიგელებით. პენსიაზე გავიდა 1974 წლიდან.

უშანგი პაპუაშვილი იყო მეფეთუბნელი.



## ლილი ცინცაძე

1935 წელს დაამთავრა ყოფილი მე-3 საცდელ-საჩვენებელი სკოლა, ახლანდელი 23-ე სკოლა.

1940 წელს დაამთავრა სამედიცინო ინსტიტუტი.

1941 წელს გაიწვიეს სამამულო ომში ექიმად. იბრძოდა მოქმედ არმიაში ქერჩში და საველე ჰოსპიტალში მუშაობდა მთავარ ექიმად. კაპიტნის ჩინით.

ომის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ევაკო ჰოსპიტალში, ოფიცერთა განყოფილების უფროსად.

1978 წლიდან დღემდე კი – ქირურგიის კვლევით ინსტიტუტში ქირურგად.

ქალბატონი ლილი ომისა და შრომის ვეტერანია, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი და მრავალი სიგელის, დიპლომისა და მედლის ღირსეული მფლობელი. .

მეფეთუბნელია.



## დორა პეტროსიანი

სამამულო ომის დაწყებისთანავე მოხალისედ წავიდა სამშობლოს დასაცავად. იგი დაინიშნა მოძრავი რაზმის ხელმძღვანელად. ბრძოლის დროს დაიჭრა, რის შედეგადაც დაინვალიდდა.

ომის დამთავრების შემდგომი პერიოდი დაკავშირებულია ერთ-ერთ ინსტიტუტთან, სადაც იგი დირექტორის მოადგილედ მუშაობდა.

მიღებული აქვს ორდენი და მედლები.



## ამირან კაცაძე

დაიბადა 1924 წელს და სკოლის დამთავრებისთანავე მოხალისედ წავიდა ომში. 1948-53 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხოლო შემდეგ სწავლას აგრძელებს 1953-54 წლებში ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში.

1954-1960 წლებში მუშაობდა ქუთაისის პედაგოგიურ და საქართველოს სუბტროპიკულ ინსტიტუტში.

1960-74 წლებში მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და მოსკოვის კოოპერატიული ინსტიტუტის თბილისის ფილიალში. პარალელურად მოღვაწეობდა ომის მონაწილეთა ვეტერანთა საქმიანობაში.

1998 წლიდან არის საქართველოს ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტის ქალაქ თბილისის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი.

არის თადარიგის კაპიტანი. დაჯილდოებულია სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენით და 15 მედალსიგელებით.

ამირან კაცაძე არის მეფეთუბნელი.

## 1941-45 ГГ. ПОСВЯЩЕНИЕ

В Тбилиси в старом районе,
Одиноко домишко стоит.
Его посеревшая крыша,
Грустно в небо глядит.
Оконные рамы прогнили,
Стекла уж в них не блестят.
На глухо двери забиты,
От лестницы балки торчат.
Когда - то красивого домика,
Двое веселых парней,
Ушли из него в сорок первом,
И не прислали вестей.
Двадцать прошло, не вернулись,
В тот домик с войны сыновья.
Их все ж ожидали старик со старушкой,
В домике этом всегда.
Жил площадь в массиве давали,
Туда старички не пошли.
Вернутся сыны, не найдут нас в массиве,
Молвили робко они.
А ныне, пятьдесят четыре прошло не вернулись,
Те парни с минувшей войны.
Давно уж скончались томясь в ожидании,
Родители их старички.
И умерла жизнь в этом доме,
Не скрыпнет как в прошлом в нем дверь.
Порой пролетат черный ворон,
По крыше мелькнет его тень.
Бог весть, может в бывшем Союзе,
Такие домишки еще и стоят,
И память, кто жил в них когда-то,
В себе молчаливо хранят.
И нет, не погибли те парни,
Н пришедшие с краевых полей.
А предвратитель в белых,
Гамзатовских журавлей.

Андро - Дуду Глонти
Апрель, 1999 г. Тбилиси.



## ლუბა ჯავახიშვილი

თბილისში არის ერთი განაპირა უბანი, რომელსაც რატომღაც „აფრიკას" უწოდებენ. სწორედ აქ, ამ „თბილისურ აფრიკაში" არის ერთი უცნაური მუზეუმი, რომელსაც საკუთარი საცხოვრებელი სახლის II სართული უკავია დ მისი შემქმნელია ქალბატონი ლუბა ჯავახიშვილი.

მუზეუმში რამდენიმე ექსპოზიციაა. ერთი ეძღვნება დიდ სამამულო ომს, მეორე 1989 წლის 9 აპრილს, მესამეზე კი აფხაზეთის ომია გამოსახული. ასობით თოჯინა შემოსილია იმ სამოსით, რომელიც ექსპოზიციის სიტუაციას და შინაარსს შეესაბამება. აქ ნახავთ საველე სამზარეულოს, ჰოსპიტალს თავისი ექიმებით, ავადმყოფებით. იქვეა სამკურნალოდ მოსული ყავარჯნიანი ცალფეხა ჯარისკაცი. ფარაჯიანი გოგონები ისვენებენ და ცდილობენ სულ ცოტა ხნით მაინც თავი წესრიგში მოიყვანონ, მერე რა, თუ ფრონტის ხაზია, ისინი ხომ მაინც ქალები არიან?!

9 აპრილის ტრაგედიის ამსახველი ეპიზოდები – მოშიმშილეები, ტრაგიკული ღამის მსხვერპლნი, ცარიელი აკვანი... ბოლოს კი აფხაზეთი, ჩვენი ახალი და მოუნელებელი ტკივილი.

სტენდებზე გამოფენილია უამრავი სურათი, დიდი სამამულო ომის ვეტერანთა ცხოვრების ამსახველი ეპიზოდები...

ქალბატონი ლუბა ჯავახიშვილი 17 წლის იყო, როცა მოხალისედ წავიდა სამამულო ომში. სხვა მედიკოს ქალებთან ერთად თავდაუზოგავად იბრძოდა დაჭრილ მებრძოლთა გადასარჩენად.

უმძიმესი წლები გადაიტანა ქალბატონმა ლუბამ. ამ ომში დაკარგა მამა, ძმა და დაღლილი და გაწამებული დაუბრუნდა ოჯახს.

ამ ქალში, მებრძოლზე მაღლა ხელოვანი იდგა, მაგრამ ომმა თავის დროზე ხელი შეუშალა მისი ნიჭის გაშლას.

ომიდან დაბრუნებული უბრუნდება საყვარელ საქმეს. ნაძალადევის სახალხო თეატრში იწყებს მსახიობობას და წლების განმავლობაში თამაშობს მთავარ როლებს სპექტაკლებში. მის შემოქმედებაზე დაწერილი აქვს თ. გომართელს წიგნში „ნაძალადევის მუშათა თეატრი".

დღეს, პენსიონერმა ქალბატონმა თავისი საქმიანობის გასახსენებლად მუზეუმში წარმოადგინა თოჯინები ისეთი კოსტიუმებით, როგორითაც გამოდიოდა ამა თუ იმ როლში.

ადამიანი სიცოცხლისაკენ ისწრაფვის. თუ ხარ, კიდეც უნდა იმოძრაო, იმუშაო, რომ სიბერე არ მოგერიოს. ქალბატონი ლ. ჯავახიშვილი კი ჯერჯერობით კარგად უმკლავდება წლებს...

თინა ნაცვლიშვილი



## ვენერა გაბუნია

დავიწყება არ უწერია!

დრო ყველაფრის მკურნალიაო იტყვიან, მაგრამ ომის მიერ მიყენებულ სულიერ თუ ფიზიკურ იარებს დავიწყება არ უწერია!

ომის მძიმე წლებში გამოვლილებს მოსაგონარს რა გამოულევს. რაოდენ მძილია გარდასულ დღეთა ფიქრებში ჩაძირული მანდილოსნის მზერა, რომლის მეტყველი თვალები ცრემლებით არის სავსე. მანდილოსნის, რომელსაც თანამებრძოლები სიყვარულით „გოგონას" ეძახიან დღესაც.

ეს „გოგონა" გახლავთ სამედიცინო სამსახურის უფროსი ლეიტენანტი, ქერჩის ბრძოლების მონაწილე ქალბატონი ვენერა გაბუნია.

სულ ახალგაზრდამ ჩაიცვა ჯარისკაცის ფარაჯა. ომის პირველი დღეებიდანვე მობილიზაციით გაიწვიეს საავიაციო ესკადრილიაში. ერევანი, ქუთაისი, კრასნოდარი, ნოვოროსიისკი. 1942 წლის შვიდ იანვარს ტამანის ნახევარკუნძულის გავლით დაადგნენ ქერჩისკენ მიმავალ გზას. შეუერთდნენ 224-ე მსროლელ დივიზიას. 1942 წელს ახლად შექმნილ ქართული დივიზიის ხელმძღვანელობამ ვენერა გაბუნია ჩარიცხა 185-ე მსროლელი ლეგიონის სანიტარული ასეულის უფროსის მედდად. იყო სადესანტო ოპერაციების უშუალო მონაწილე.

ზურგზე დიდი სანიტარული ჩანთით მოკიდებული, მიწაზე გართხმული, ცოცვით მიიკვლევდა გზას ვენერა გაბუნია დაჭრილებისაკენ. უშიშარს ტყვიაც არ ეკარებოდა. რამდენჯერ ჩაუხედავს სიკვდილისთვის თვალებში, მაგრამ საკუთარი სიცოცხლე არაფრად უღირდა სხვისი სიცოცხლის გადასარჩენად.

საბჭოთა ჯარები უკან იხევდნენ. სანაპირო ზოლისაკენ, სადაც ევაკუაციისათვის გამზადებული გემები იდგნენ. დაიწყს დაჭრილების აყვანა. ერთ-ერთი მტრის საკაცით აყვანის დროს ვენერა გაბუნიას ფეხი დაუცდა ბორგანზე და მდინის ზღვაში გადავარდა. ცოცხალ-მკვდარი ამოიყვანეს, 1943 წლის 25 ოქტომბერს დაბრუნდა დემობილიზაციით თბილისში;

იმავე წელს თავისი ბედი დაუკავშირა უფროს ლეიტენანტ გიორგი ჯინჭველაშვილს, რომელმაც თავისი სიცოცხლე რუმინეთის ქალაქ კლუჟის განთავისუფლებას შესწირა. ვერ მოესწრო ქალიშვილის დაბადებას. მამას სურათებით იცნობდა.

მამასთან პირველი შეხვედრა ქ. კლუჟის საძმო სასაფლაოზე მოხდა.

ქალბატონმა ვენერამ, რომელმაც მთელი ცხოვრება სხვის სიცოცხლის გადარჩენას მოახმარა, მძიმე ავადმყოფობა გადაიტანა, მაგრამ დათესილმა სიკეთემ თავისი ნაყოფი მოიმკო, დღეს კვლავ ყოჩაღად არის. სტუმარიც უხარია და კეთილი მასპინძელიცაა. მეჩელება ჩემი შეხვედრასთან განშორება, რომელიც სათუთად შენახულ საბრძოლო რელიქვიებს მაჩვენებს.

„დღეს ჩემს მიერ გადარჩენილი 13 ქართული გვარი გრძელდება საქართველოში და თუნდაც მათი ბედნიერებისათვის ღირდა ჩემი სიცოცხლე".

მართალი ბრძანდებით. მრავალჟამიერ თქვენ!

მზია მალიძე

ვენერა გაბუნია

# აქ სიხარულის სამჭედლო იყო


ბაღი დღეს


ბაღი დღეს

ფიქრმა მიბიძგა, შემიძლვა ბაღში.
ყრმობის სავანეს რომ
ვცე თაყვანი,
მაგრამ ვერ შემხვდა
სათვალმაისოდ
ჩვენი ბავშვობის, ყრმობის აკვანი.
გაპარტახებულ ბაღის შემყურეს,
ხსოვნას ამენთო ჟამი ომისა,
ჟამი ძმობის და მტკიცე
ერთობის
და ერთმანეთთან თანადგომისა.
ერთი მიზანი გვმოძღვრავდა
ყველას,
სულს გვიმაღლებდა ერთი
წადილი,
ბავშვობა-ყრმობის უღელტეხილზე
ფასობდა კაცი, ქუდი, მანდილი.
უბანს ამკობდა სავანე წმინდა,
ფრთასაფრთხიალო კუთხე ლაღია
და საფერხულო, ჩვენი ერთობის,
დიდ ხელოვანთა „არტო“-ს
ბაღია.
სულიერების წმიდა ძაფებით,
თავს აქ ვიყრიდით ძმობის
სურვილით,
აქ გაიკვირტა ჩვენი ზნეობა,
კაცობის ტახტზე ასვლის
წყურვილით.
აქ ღვივდებოდა ილიკოს სული,
ვინც ალს მოსტაცა
ცეკვა ცეცხლური,
მადლი მიეცა ზურაბ წერეთელს,
და სალარაძეს აენთო გული.
ამ ბაღს დაირწა სული ფაქიზი,
ბეჭებით, ტატამს დაუდებელი,
აქ ირწეოდა გივის მხარ-ბეჭი,
ვით კლდე-ქარაფი აუღებელი.
აქ დაფრთიანდა ხიბლის ასული,
და სიამაყე ქართული გვარის,
დიდო სცენის თუ, დიდო
ეკრანის
და სანეტარო სამზერი თვალის.
აქ გაჯეჯილდნენ სპარტაკ,
გაიოზ,




ბაღი დღეს

აქ ინთებოდა „დინამოს“ გული,
აქ სიხარულის სამჭედლო იყო
და ზვავდებოდა ქართული სული.
დღესაც ის კდემა ანთია ჩვენში,
რაც აქ ჩაგვენთო ყმაწვილურ
გულში,
რასაც თესავდა მეფეთუბანი,
ჩვენი ბავშვობის გაკვალულ
ხნულში.
დღეს! გულს გვიჩეხავს
სავანის ხედი,
ლალი ფრთხიალის გაქრა ჯავარი,
თითქოს წალკოტში დაშრა
მდინარე
დამშრალ რიყეზე ყრია ჭანარი.
ღმერთო, აუნთე ცივი გონება,
ვინც გონჯი ფიქრით
მოთხარა ბაღი,
ვერ ასადაგა უბნის სიწმიდე
და ჩვენს გულებზეც
მოშანთა დაღი.
მხოლოდ ბრმისათვის არის
სულერთი,
არც მოსაკითხი ხდება ხშირია,
რას აფასებენ, ამ ქვეყნად
სანთელს,
გაიაფდა და თუ დარჩა ძვირია.
ღმერთო, აუნთე გონების თვალი,
ვინც ამ ყოფაში ჩააგდო ბაღი.
რომ გაიხაროს ჩვენმა მემკვიდრემ,
ყმაწვილის გულზე
არ დარჩეს დაღი.

*04.08,1999 წელი*
*თეიმურაზ ლალაშვილი*
*(თეირანი)*





# საქართველო, შენ ვინ მოგქცა შვილი დასაკარგავი?


მოქანდაკე ამირან ბილანიშვილი

1954 წ. დავამთავრე თბილისის სამხატვრო აკადემია ქანდაკების განხრით. ჩემი სადიპლომო ნამუშევარი ზოია რუხაძე იყო. პოეტი იოსებ ნონეშვილი დამეხმარა ზოია რუხაძის ცხოვრების შესახებ მასალების შეგროვებაში, კერძოდ, წავიკითხე ნონეშვილის პოემა ზოია რუხაძეზე, შემდეგ მომცა კოზლოვის წიგნი „Крымское подполье“, სადაც კარგად იყო აღწერილი მისი გარეგნობა, ხასიათის თვისებები, რაც ძალიან დამეხმარა ზოია რუხაძის შექმნაში. დიპლომში მივიღე უმაღლესი შეფასება. ნამუშევარი ბევრ ადგილობრივ გაზეთში იქნა გამოქვეყნებული. ასეთი გამოხმაურების შემდეგ მაშინდელი კომკავშირის ცეკას მდივანი გაფრინდაშვილი დაინტერესდა ზოია რუხაძით, რაზედაც თანხმობა მივეცი. საჭირო იყო ბრინჯაოში ჩამოსხმა. კომკავშირის ცეკა შეუთანხმდა ქალაქის საბჭოს და გავაფორმეთ ხელშეკრულება. შემდეგ ჩემი ხელმძღვანელობით ზოია რუხაძე ლენინგრადში ჩამოვასხით 1956 წ. მისი დადგმა განვახორციელეთ 1957 წ. თბილისში არტოს ბაღში. გახსნასთან დაკავშირებით დაესწრნენ მისი მშობლები. თვალცრემლიანი დედა ქანდაკების წინ იდგა და ტირილით ამბობდა: „თვალწინ მიდგას ჩემი შვილი, იგი გერმანელმა ფაშისტებმა მოკლეს 1942 წ. 24 წლის ასაკში“.

*ამირან ბილანიშვილი*

არტოს ბაღი, ჩემს ბავშვობაში იყო ახალგაზრდობის თავშეყრის ადგილი. საღამოობით აქ იმართებოდა საესტრადო კონცერტები. იყო მუსიკა და ცეკვები. არა მარტო ახალგაზრდობა, არამედ მოხუცებიც ზაფხულის სიცხისაგან გათანგულები თავს აფარებდნენ არტოს ბაღს სულ მუდამ მოვლილს და სუფთას.

აქ 1957 წ. საზეიმოდ გაიხსნა ზოია რუხაძის (ბრინჯაოში ჩამოსხმული) სამამულო ომის გმირის ქანდაკება. ავტორის ამირან ბილანიშვილის გარდა ესწრებოდნენ პოეტი იოსებ ნონეშვილი, ქალაქის პასუხისმგებელი პირები, ომის ვეტერანები, ზოია რუხაძის მშობლები. არტოს ბაღში ეს ძეგლი დაიდგა იმიტომ, რომ ბაღი ახალგაზრდობის იყო. აღარ ვილაპარაკებ ზოია რუხაძის გმირობაზე, ამაზე სათანადო ლიტერატურა არსებობს. მხოლოდ დავასახელებ იოსებ ნონეშვილის პოემას, ზოია რუხაძეზე „ამბავი ერთი ქალიშვილისა“ და ი. კოზლოვის „ყირიმის იატაკქვეშეთი“. მაშინ მახსოვს ზოია კოსმოდემიანსკაიაზე უფრო იყო გამახვილებული ყურადღება, ვიდრე ზოია რუხაძეზე. მოგეხსენებათ, მაშინდელი დამოკიდებულება ყველაფერ რუსულთან.

ახლა რა ხდება. ბაღი გაპარტახებულია, ძეგლი შეურაცხყოფილი, დასანგრევად გამზადებული. ვიღაცას თურმე ბრინჯაო უნდა თავისთვის.

1998 წ. ზამთარი იყო. მირეკავს არტოს ბაღის ტერიტორიაზე მდებარე ფოლკლორის სკოლის დირექტორი ნათელა ჯილაური და მატყობინებს, რომ ძეგლის წაღება უნდა ვიღაცასო. აველელდი, როგორ შეიძლება ძეგლის მიცემა, ეგ ხომ ქალაქის საკუთრებაა. უარი უთხარით, პასუხს აგებ მეთქი. ეს ქანდაკება თბილისის სამხატვრო აკადემიის საუკეთესო ნამუშევართა ოქროს ფონდშია შეტანილი და თქვენ რა უფლება გაქვთ მეთქი. შემდეგ იყო კიდევ ერთი ზარი, ამჯერად დამამშვიდებელი.

1999 წ. ზამთარში გაისმა ზარის ხმა, ახლა ნათელა ჯილაური გვიბარებს, სასწრაფოდ ჩამოიყვანეთ თქვენი ვაჟი (ისიც მოქანდაკე) და ქანდაკება აღადგინოსო. ჩავედი, რომ ვნახე ქანდაკება, პოსტამენტზე რამდენიმე მარმარილოს ფილა მომძვრალია, ცხვირი მოტეხილი და ყელის არეში გადახერხვის ნიშანია. ამან ყველაფერმა დამაეჭვა. ვიღაცას მოსვენებას არ აძლევს ბრინჯაო. ნათელა ჯილაური და მისი თანამშრომლები ამბობენ, რომ „ჩვენ ძეგლს დარაჯად ვერ დავუდგებითო. ფილები თვითონ ჩამოვარდა, ძეგლს რა უნდა აქ, სადაც გინდათ იქ წაიღეთ, ან ვაკის პარკში. აქ ამ ბაღში ქურდები და ნარკომანები იყრიან თავსო. დარაჯს რა მოვთხოვო, 15 ლარს ვაძლევ ხელფასსო. უფრო ბევრი სატკივარი მაქვს და იმისთვის ვერ მომივლიაო“.

ასე დამთავრდა ჩვენი საუბარი. მე არ მინდა ცუდ ნოტაზე დავამთავრო, მაგრამ ძალიან საშიშია გულგრილი ადამიანები. მართალია ხალხს უჭირს, იმ დარაჯსაც, ნათელა ჯილაურსაც, მაგრამ ხომ არ უნდა გავაპარტახოთ ყველაფერი, მაშინ რითი უნდა იამაყო? ზოგი თავისთავით ამაყობს, ზოგი მშობლებით, ზოგი ნათესავით, ზოგიც ქუჩით, უბნით, ქალაქით. განა ჩვენი ქალაქი მდიდარია ქანდაკებებით, რომ არ მოვუაროთ. რაც გვაქვს ბაღი, სახლი, ქუჩები ჩვენ უნდა დავიცვათ, მეც ქალბატონო ნათელა და თქვენც, მიუხედავად ეკონომიური სიდუხჭირისა. ქალაქის სილამაზე სწორედაც რომ ლამაზი ბაღებით და ქანდაკებებით მშვენდება. მე მგონი, დამეთანხმებით.

დიდი მადლობა დიდუბის რაიონის ვეტერანთა დეპარტამენტს, გამგეობას „დავით აღმაშენებლის ტრადიციათა აღორძინების საზოგადოებას“ რომ წამოიწყო მოსწავლეთა ახალგაზრდობის, კულტურისა და დასვენების ბაღის აღორძინება. მისი პირვანდელი სახის აღდგენაზე ზრუნვა, ცდილობს აღადგინოს ის ძირძველი ტრადიციები მოსწავლეთა აღზრდის საქმეში და, რაც მთავარია, აგრეთვე შეინარჩუნოს იმ დაუვიწყარი ისტორიული პატარა გმირი გოგონას სახელი, ზოია რუხაძის სახელს რომ ატარებს.

*მედეა ლენიძე-ბილანიშვილი*
*1999წ. 22 აპრილი*

## ნაწყვეტი იოსებ ნონეშვილის პოემიდან „ამბავი ერთი ქალიშვილისა“


იოსებ ნონეშვილი



„თურმე მშობელ მამას –
მათე რუხაძეს
ლუკმაპურისთვის გადულახავს
გზა შორზე-შორი.
ოცნების გზები დაულანდავს
ბედის რუკაზე,
მერე უნახავს სიმფეროპოლი.
***
აკვირდებოდა, რა გულდაგულ
ეტრფოდნენ მიზანს,
როგორ ცხოვრობდნენ, ვაჟკაცურად,
დაუძრახველად...
და რუსი ხალხის სიყვარულით
ერთადერთ შვილსაც
თურმე ზოია მისცა სახელად.
***
დიოდნენ წლები. ქართველობის
ამხელდნენ თითქოს
შავი თვალები და წარბები
შავად შეყრილი.
რიონის პირზე საპოვნელი ყვავილი იყო,
სიმფეროპოლში გადმონერგილი.
***
მე, როგორც ვიცი, ზოია გქვიან,
ჰოდა, მაშ ასე, ჩემო ზოია.
მე თვითონ ვნახე, ვერ გკრთობს ტყვია,
ვაჟკაცის გული გამოგყოლია.
***
გაშრა ზოია... მუხლებჩაკეცილს
გადაუფითლა სახე ზაფრანამ
ფართო თვალებში ცრემლმა გაჰკვესა
და მღელვარება ძლივსღა დაფარა.
დაფიქრდა: „საქმე ყოფილა ცუდად,
კარგად ჰქონია მტერსაც დაზვერვა,
როგორც ეტყობა, ფაშისტებს უნდათ,
უღელტეხილზე ჩვენმა რაზმებმა
თუ არ იციან? მოულოდნელი
დარტყმა ძნელია და შემმუსვრელი,
რა ვქნა?.. გიორგის მე ზეგ მოველი,
გვიან იქნება, ველარ ვუშველი“.
***
შემდეგ მარშრუტი ნახეს რუკაზე
და კომკავშირის შტაბის ბრძანებით
გადაწყდა: ტყეში წავა რუხაძე
იქნებ იპოვოს პარტიზანები.
***
ცხენებზე ისხდნენ გმირნი ფრთამალნი,
ცალ ხელში თოფი, ცალში – ავშარა...
ზოიას ცნობა მათთვის მთავარი
და გადამწყვეტი იყო ამჟამად.
***
სასტიკ ბრძოლაში შეხვდნენ გარიჟრაჟს,
სიკვდილს შეჰხედეს თვალში
გულადად...
უცებ ზოია მხარში დაიჭრა,
გვერდით გიორგიც სისხლში ცურავდა.
***
ხელი შეუკრეს, კედელს მიაკრეს,
შანთით დაუწვეს ფეხის გულები,
ბნელი ჯურღმული აავსეს
ზოიას სისხლის ნაკადულებით.
***
თუმც განიცდიდან საშინელ ტკივილს,
ეწვოდა მკერდი, წყურვილი ჰკლავდა,
გაცისკრებული იმედის სხივით,
ამაყად იდგა დიდების კართან.
***
ნუ გიკვირს მტერო, მათ
ვერ დაითვლი,
ისინი რიცხვით ქართველზე [illegible],
სამშობლოსათვის მებრძოლ ქალიშვილს
ყველა ქალიშვილს ზოია ჰქვია!“

*1952 წ.*

# „მე ვარ ციცინა ფრთამალი, პაწაწინა იადონი“

ოდითგან, ქართული ხალხური ზღაპრები იწყებოდნენ ერთი ფრაზით „იყო და არა იყო რა“. დღეს მინდა შემოგთავაზოთ ჩემი დღევანდელი ზღაპარი პატარა გოგონას კესანე გვეტაძის შესახებ, რომელსაც დავიწყებ შემდეგნაირად: არის და ყოველთვის იქნება დარწეული აკვანი საქართველოში, დედის ტკბილი ნანინა, ბავშვის ზღაპრული სამყარო დანახული მისი თვალით. ზღაპარი სამყაროსათვის უსასრულოა, უკიდეგანო და დაუშრეტელი, რადგან სიცოცხლის მამოძრავებელი ფესვი, მომავლის იმედი, ბავშვის სულიერ საბუდარში ჩაბუდებული და მონატრებული ოცნებებია. მისი თვალით დანახული სამყარო, ხომ საკვირველებაა. ზღაპარი კი მათი საკუთრება, მათი ფრთამალი ოცნებების სივრცე და. ცოდვა გამხელილი სჯობს, ჩვენ დიდებს, განა არ გვიყვარს ზღაპარი? რომელ დედას არ უამბნია შვილისთვის ძილისპირული, წითელქუდას, ნახევარქათამას, კომბლეს ზღაპრები, მაგრამ რომელ ბავშვს უსურვია დაეწერა თავისი ზღაპარი? დამისახელეთ. მე კი კესანეს გაგაცნობთ. იგი სულ 8 წლის გახლავთ და თავისი სათქმელი, რა თქმა უნდა, ბავშვური, ნაკადულივით სუფთა, მზის სხივებივით ნათელი და თბილი საკუთარ ბავშვურ სამყარო-ზღაპრებში გადმოგვცა. ერთად თავმოყრილი ზღაპრები, თვითონ გოგონას პორტრეტული სახეა, რომელიც გვიჩვენებს მის შინაგან ბუნებას, ალქმა-გაგების ერთიან სალაპარაკო ენას ბუნებასთან და იმ დიდ წარმოსახვას, რასაც ფანტაზია ჰქვია. ფანტაზია კი ყველას არ ხელეწიფება. ბავშვური ფანტაზია კი ნამდვილია და მართლაც ფანტასტიურია, რადგან წრფელია. გოგონას შექმნილი აქვს სულ 56 ზღაპარი. პირველი იყო „ჯადოსნური ბალერინა სოკო და გოგონა“, რომელიც დაკავშირებულია კესანეს დიდ გატაცებასთან, მას გამორჩეულად უყვარს ცეკვა და განსაკუთრებით ბალეტი. თვითონ ზღაპრების სათაურებიც გვაოცებენ: „კუზიანი საქმრო“, „თავნება დედოფალი“, „ნამცეცას დაბადების დღე“, „როგორ იმოგზაურა თოვლის ბაბუამ ტყეში“, „პაწაწინა ნაკადული“, „ჩემი სოფლის დილა“, „პაწაწინა იადონი“, „პრანჭია ჭიანჭველა“. „ტყის მეგობრებში“ შესანიშნავად არის ბუნების ენა ამეტყველებული. კესანეს დიალოგში ბუნებასთან თბილი, საოცარი კონტაქტი მყარდება. მოხუცი ყვითელი ფოთლისა და სოკოს მეგობრობამ გამოამჟღავნა ბავშვის შინაგანი მოწოდება უფროსის პატივისცემა მოკრძალებისადმი, რაც ნიშნავს ჩვენი ტრადიციის უკვდავებას, რაც ქართველი ხალხის მონაპოვარ ზნე-ჩვეულებათა ერთ-ერთი სიმდიდრეთაგანია. სიკეთით გაჯერებული ბავშვის ერთ ჩანაწერში ვკითხულობ. „ჩემი კუდრაჭა გოგონა ავად გამიხდა, მე არ მიხმარია წამალი, მხოლოდ იცით რა გამოვიყენე? ერთი კეთილი სიტყვა ვუთხარი და იმ წამსვე კარგად გახდა“. თვითონ კეთილ ბავშვს ესმის კეთილი სიტყვის ჯადოსნობა. „ახალი წლის ზეიმი“ კესანემ მიუძღვნა აფხაზეთიდან ლტოლვილ თანატოლებს. „მე ვუყურებდი ტყიდან, ულამაზესი იყო, როცა ნაძვზე ხატულა სანთლები ანთებდნენ, მრავალი სიხარული იყო დაკიდებული ყოველი ნაძვის ხის ტოტზე“. სწორედ თავისი ოცნებებით დახუნძლული ნაძვის ხე, პატარა კესანემ მთელი გულით და სულით აჩუქა მათ, ვისაც დღეს ძალიან სჭირდებათ თანადგომა.

პოეზიის სამყაროში, პირველივე ლექსში იგრძნობა ის ჰარმონიული მუსიკალური ენა, რითაც ბუნებამ ჭარბად დააჯილდოვა პატარა. მას შექმნილი აქვს 100-მდე ლექსი.

„მთებია, მთებია
და თეთრი თოვლია,
წითელი კლდეები
და ლურჯი ზღვა.
და იმერეთი ყვავილეთია
ლამაზ კესანეს დედულეთია“.

„ატიტინდა ცა, ატიტინდა ზღვა“ – ეს ხომ თვითონ პატარა ციდა კესანეა. გულჩვილს ძალიან ეცოდება ტყის ბაჭია „რომელიც სულ პატარა ცრემლებით ტირის“. წითელქუდა გოგონას კი...

„თქვენ ხომ იცით წითელქუდა,
ეხლა არის ცისფერქუდა,
ხვალ იქნება ყვითელქუდა,
ხვალის მერე კი ლურჯქუდა“.

სწორედ ამ ლექსში ხდება პოეზიის და ფერთა პალიტრის შერწყმა. განა გასაკვირია, რომ პატარა კესანე კიდეც კარგად ხატავს. იგი 24 ჩანახატისა და ბევრი ნახატის ავტორია. ჯერ კიდევ სამი წლის ასაკში დახატა მამა. სიზუსტის მსგავსებაზე ვერაფერს გეტყვით, მამას არ ვიცნობ, მაგრამ ნამდვილად პორტრეტი რომ არის ამაში ეჭვი არ მეპარება. სიყვარულს მშობლისადმი ასე გამოხატავს მამიკინიკომარი – კომი-მამი – მამა. ისევ და ისევ ნატიფობა და ჰაეროვნება, ეს მისი თვალთახედვის წვდომაა, რადგან თავისი ავტოპორტრეტი წარმოდგენილია ბალერინას სახით. აქვეა ზღაპრული სამყაროს წარმომადგენლები, „ბურატინო და ოქროს გასაღები, „აბა დამიჭირე“, აქაც თავისებური სიტყვების წყობა აქვს დართული „კუმაარი და კუმაკი“, „გამარჯობათ“ – კომაარი კომიკო, „ბედნიერი დედა-შვილი“ და სხვა.

დღეს, ნიჭიერი ბავშვი საზოგადოების დაინტერესების სფეროა: კომპოზიტორი მერაბ მერაბიშვილი აპირებს კესანეს პიესების მიხედვით შექმნას საბავშვო მიუზიკლი. ბავშვით დაინტერესდა გამოჩენილი მსოფლიო მნიშვნელობის მუსიკოსი ვლადიმერ სპივაკოვი, რომელმაც შექმნა საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი ნიჭიერთა ბავშვებისათვის, მან შეიძინა სამი სურათი კესანეს და ერთი მათგანი „უკვდავი კაშჩეი“ მონაწილეობდა პარიზში გამართულ ბავშვთა ნამუშევართა გამოფენაზე. შექმნილია კატალოგი „შალიაპინი – მუსიკა – თეატრი“ – გამოცემული 1998 წელს მოსკოვში, სადაც მოთავსებულია კესანეს სურათიც. „ყოველი მათგანი შეიძლება გახდეს მიქელანჯელო, ბეთჰოვენი, შექსპირი. ბავშვი ეს არის ერთადერთი შანსი, ეს არის ჩვენი რეალური შესაძლებლობა დავინახოთ დღეს, რა გველის ხვალ მომავალში. სწორედ ისინი არიან ჩვენი ხვალინდელი დღე“ (ვ. სპივაკოვი).

საზოგადოება ფეხზე დგას და ცდილობს დაეხმაროს ნიჭიერ გოგონას. საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე თამაზ წივწივაძე, მოადგილე დავით მჭედლური, საქართველოს კულტურის მინისტრი ვალერი ასათიანი, მწერალი გურამ დოჩანაშვილი, ტარიელ ჭანტურია. მათ მიმართვაზე მთავრობა სდუმს.

მაგრამ ზღაპარი, რა ზღაპარია, თუ იგი არ დამთავრდება იმედიანი მომავლით. ყველაფერი დაწყნარდება, ქარტეხილები დაცხრებიან და კესანე კვლავ ნიჭიერ სამყაროს წარმოგვიდგენს, ნეტა რომელს? ალბათ იმას, რომელიც მეტად ჩაეხვევა გულის სიღრმეს. ამას კი გაფრთხილება სჭირდება.

„იყო არა იყო რა“, ამაზე კარგი რა არის, რომ ჩვენს ქალაქში, ჩვენს გვერდით არსებობს პატარა ტიტინა გოგონა სახელად კესანე.

*ნანა ბიბილ...*



კესანე გვეტაძე



Свидетельство
Настоящее свидетельство подтверждает, что
Гветадзе Кесане
является участником программ
Международного благотворительного Фонда Владимира Спивакова
«14» июля 199? г.
Президент Фонда В.Т. Сп...







ავტოპორტრეტი



# ოპტიკა „ჯაბადარი“



ვისაც თამარ მეფის გამზირზე გაუვლია, ამ უკანასკნელ ხანებში, აუცილებლად შეამჩნევდა აფთიაქებისა და ოპტიკის კაბინეტების „რიგს“. გემოვნებით მოწყობილი ვიტრინები, მომსახურების მაღალი დონე იზიდავს არა მარტო მომხმარებელს, არამედ უბრალო გამვლელსაც კი. ერთ-ერთი მათ შორის გახლავთ ოპტიკა „ჯაბადარი“.

ძველი პლეხანოველების დიდი ნაწილისათვის ცნობილია ეს გვარი. 4 ათეული წელია, რაც თბილისში „ჯაბადარის ოპტიკას“ მოიხსენებენ. მაინც ვინ არის ეს ჯაბადარი?

ირაკლი ჯაბადარი 7 წლის იყო, როცა მამამისი, გიორგი, როგორც ბევრი სხვა, 1937 წლის რეპრესიების მსხვერპლი, გადაასახლეს ქ. მაგადანში. მალე გიორგი ჯაბადარის მეუღლე, ქალბატონი ანა ხეჩინაშვილიც 14 წლის ვაჟთან, ირაკლისთან ერთად გაემგზავრა მაგადანში.

მზესა და სითბოს ნაჩვევი ქართველებისათვის ჯოჯოხეთივით მძიმე გამოდგა შორეული ციმბირი, სადაც სულიც კი იყინებოდა. ლაღი ქართული ბუნება ძნელად ეგუება თავისუფლების აღკვეთას და თუ მას მაშინდელი ბანაკების დესპოტურ რეჟიმსაც დავუმატებთ, გასაგები გახდება, რა ტანჯვისათვის უნდა გაეძლო ჯაბადარების ოჯახს, მაგრამ ადამიანი ძლიერია, ყველაფერს მოერევა!

ი. ჯაბადარმა მაგადანში დაამთავრა სკოლა და სამხედრო ვალდებულებაც ჩინეთის საზღვარზე მოიხადა. ცხოვრებამ ძნელი გზით ატარა და მძიმე გაკვეთილები უჩვენა. მიუხედავად ამისა, ნიჭიერ ახალგაზრდას სწავლის წყურვილი არ განელებია. 1956 წელს მოსკოვში დაამთავრა სამედიცინო ოპტიკის სასწავლებელი, სადაც მიენიჭა მედოპტიკოსის წოდება და სამუშაოდ ისევ მაგადანში გაემგზავრა.

1957 წ. მამის რეაბილიტაციის შემდეგ ოჯახი დაბრუნდა თბილისში, სადაც არანაკლებ სირთულეებს შეხვდნენ. სამშობლოში დაბრუნებულებს დაუდგათ ბინისა და სამსახურის პრობლემა, მაგრამ შენს მიწაზე როცა დგახარ, იმედიც მეტია და შესაძლებლობაც. ასე თუ ისე, ჯაბადარების ოჯახი თბილისში დასახლდა და ახალგაზრდა ირაკლი სამსახურს იწყებს სააფთიაქო სამმართველოს №34 აფთიაქში ყოფილი ჩელუსკინელების, დღეს – თამარ მეფის გამზირის №19-ში ოპტიკის განყოფილების გამგედ. 1964 წლიდან კი გადადის უზნაძის №4-ში. სხვადასხვა დროს მუშაობდა დავით აღმაშენებლის გამზირზე და რუსთაველზე.

ირაკლი ჯაბადარი სიმპათიური, ჭკვიანი და განათლებული პიროვნება, ყოველთვის ყურადღებას იქცევდა. ის საოცრად გულისხმიერი იყო ყველას მიმართ. მასთან ერთხელ მოსული კაცი მეორედ სხვაგან აღარ წავიდოდა. იგი წლების განმავლობაში ისე შეეთვისა პლეხანოვს, რომ „ჯაბადარის ოპტიკა“ უბნის ისტორიაში ჩაიწერა.

ხუთი წლის წინ ბატონი ირაკლი პენსიაზე გავიდა და მისი საქმე მისმა ვაჟიშვილმა, გიორგიმ (გოგამ) გააგრძელა.

გიორგი პროფესიით არქიტექტორია. დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია. მისი მეუღლე, მაია კი თვალის ექიმი გახლავთ. მათ ოჯახში სამი მშვენიერი ბავშვი იზრდება – ორი გოგონა და ერთი ვაჟი.

თამარ მეფის გამზირზე აბრა მიგანიშნებს, რომ „ოპტიკა“ და „ჯაბადარი“ ისევ ერთად არიან.

შედიხარ და თვალს იპყრობს ორიგინალურად გაფორმებული სტენდები. თვალებციმციმა გოგონები ღიმილით გთავაზობენ სხვადასხვა ფორმის სათვალის ჩარჩოს, ნაირ-ნაირ მინებს. თქვენ მთავარია დაასახელეთ, რა გსურთ და ოპტიკა „ჯაბადარში“ ყველაფერს ნახავთ. სწორედ ამ პროფესიულმა მიდგომამ საქმესთან განაპირობა, რომ ოპტიკას მიანიჭეს ოფთალმოლოგიური კაბინეტის სტატუსი. კაბინეტს ხელმძღვანელობს გამოცდილი ექიმი რამაზ ცინცაძე.

როგორც ბატონი გიორგი აღნიშნავს, სათვალე არის ძალიან ფაქიზი შესარჩევი. მან გაითვალისწინა მომხმარებლის საშუალებები და ძვირადღირებულ სათვალესთან ერთად შეუძლიათ შემოგთავაზონ საკმაოდ იაფფასიანებიც. საქონელი ძირითადად იტალია და გერმანიიდან შემოაქვთ.

ამ საქმის წამომწყები კაცი, ბატონი ირაკლი დღეს კახეთში ცხოვრობს. პენსიაზე გასვლის შემდეგ მოისურვა სოფლის ცხოვრებითაც ეცხოვრა. მას უხარია, რომ საქმე, რომელიც ასე საყვარელი და ახლობელი იყო მისთვის, გრძელდება და გრძელდება, როგორც ოჯახური ტრადიცია.

„მეფეთუბანი“ ი. ჯაბადარს უსურვებს დიდხანს სიცოცხლეს და ბედნიერებას. ბედნიერება კი უწინარეს ყოვლისა არის ის, რომ შენი ნერგი ნაყოფს გამოისხამს.

P. S. ბატონ გოგას სამუშაო მაგიდაზე რამდენიმე ესკიზი უდევს. თითოეულ მათგანზე წერია „ოპტიკა ჯაბადარი“. – რა ვქნა, არცერთი არ მომწონს, მამაჩემისთვის რაღაც უფრო სხვა მინდოდა... – ამბობს გ. ჯაბადარი. მე კი ყველა მომეწონა და განსაკუთრებით ის, რომ შვილი ასე სათუთად უფრთხილდება მშობლის სახელს!

*თინა ნაცვლიშვილი*

## დიდება გმირებს!

მზემ გაიბრწყინა ცის თაღზე
თუ ვერცხლის ხმალია.
მზედ, რომ ანთია
ჩვენს გულში
დიდების კელაპტარია.
მაისის დილა გათენდა
და მოიყოლა დარია.
დიდება! მარად დიდება!
ვინც სამშობლოსთვის
მკვდარია.
ორმოცდაათმა გაზაფხულმა
გაიარა
ორმოცდაათმა წელმა განვლო
ომის შემდეგ
არასოდეს შერცხვენილა
ჩვენი ხალხი,
სახელოვნად გაიარა ომის გზებზე
ცხრა მაისია!
ამობრწყინდა, მზე დიდებული,
ცხრა მაისია!
გადაიყარა ზეცამ ღრუბელი,
ცხრა მაისია!
აგუგუნდა მთაწმინდის კალთა
დიდება გმირებს
უკვდავება!
დიდება მარად!
ვინც თავის მამულს იფარავდა
სიცოცხლის ფასად.

*მარიკა იაკობაშვილი*
*1975 წ.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქოლ მინ ისრაელ

ძალიან ამაღელვა და თანაც ამაფრთოვანა გაზეთ „მეფეთუბანში" ჩემი ლექსის „საქართველოსთვის ვილოცებ" გამოქვეყნებამ, მოხდა კიდევ ასეთი დამთხვევაც, რომ აჭარაშიც გაზეთ „აჭარის" პირველ გვერდზე დაუბეჭდიათ იგივე ლექსი, რომელიც საქართველოს და ქართველი ებრაელი ხალხის 26 საუკუნის მეგობრობის აღსანიშნავად იყო გამოქვეყნებული.

სიხარულის ცრემლები ჩამომცვივდა, ნუთუ ამ ჩვენი საუკუნოვანი მეგობრობის დიდ სიყვარულში ჩემი მცირედი ნაპერწკალიც გაღვივდა, ჩემი მცირედი სითბოც მისწვდა იმ დიდებულ ქვეყანას და ხალხს, რომელსაც საქართველო ჰქვია.

საქართველო და თბილისი ეს ხომ ჩემი სათაყვანო და განუყოფელი ქვეყანაა, სადაც ავიდგი ფეხი და ენა, რომელმაც მომცა და აქაც უხვად გამომაყოლა უდიდესი ზნეობა და სიყვარული. დღესაც აქ მამა-პაპათა აღთქმულ მიწაზე ამაყად დამაქვს გულით მათი გულწრფელი ხსოვნა, მიყვარს მისი ყოველი კუთხე-კუნჭული, მისი დიდებული ხალხი, რომელსაც ვერავითარი დრო და მანძილი ვერ წაშლის.

დაე, კვლავ დიდხანს გაგრძელებულიყოს და მრავალ ახალ საუკუნეებს გასცდენოდეს ეს ჩვენი მეგობრობა.

მე კვლავ თქვენზე ვლოცულობ და ვწერ ბევრ ლექსებს.

მათ შორის გთავაზობთ რამდენიმეს და თუ მიზანშეწონილად მიიჩნევთ, გამოაქვეყნეთ.

*უღრმესი მადლობით და ღრმა პატივისცემით,*
*ნორა სეფიაშვილი*



# საქართველო და ჩემი თბილისი

სად დავიტიო ეს ზღვა სურვილი
სიტყვა არ მყოფნის აზრი გამოვთქვა
მომეცა მეც მქონდეს წილი,
მეც გამოვხატო ჩემი გულისთქმა.
...
საქართველოო! შენ სადიდებლად
მსურდა გამეკრა ტალკვესი წკარში,
რომ ჩემი კალმით და ჩემი ლექსით
შემოვკრა შენთვის მეც ერთი ტაში.
...
თუნდაც შენ ჩემო ტკბილო თბილისო!
თბილისო, მართლაც სულის
ჩუქურთმავ,
მე მომენატრა შენი მიდამო,
შენი წიაღის ჰაერის სუნთქვა.
...
მე მომენატრა შენი ზამთარი
და ფანტელებში თეთრი თბილისი,
მე შემოდგომის სურნელიც მახსოვს,
ისევ მწვავს შენი ცხელი ივლისი.
...
რა დამავიწყებს მე შენს მაისებს
იმ შენ საამო შხაპუნა წვიმებს,
გრძნობები როცა მომერევიან
ლექსში ჩავაზნევ კვლავ
ახალ მწკრივებს.
...
მე მომენატრა შენი მთაწმინდა
შენი აპრილის ლურჯი ფერებით,
გწამდეს მე აქაც შენზე ვლოცულობ
და აქედანაც სულ გეფერები.
...
ნეტავ შემეძლოს სრულად დავხატო,
რომ იქნებ ცოტა გული ვიჯერო,
სიმღერის ნიჭი ოცნებად მექცა,
რომ შენზე ბევრი ლექსი ვიმღერო.
...
„მე რომ შემეძლოს შენთვის
უმძიმესს
იცით, რას აღარ გადავიტანდი?"
მაგ შენს სამყაროს ნამდვილად
ზღაპრულს
აქვე ჩემს ახლოს გადმოვიტანდი.
...
თქვენი სიშორე მუდამ მაღელვებს,
მაგრამ თან დამდევს სითბო ნანატრი
და გწამდეთ ისევ ჩემს
შვილიშვილებს
გამოვზრდი თქვენი იავნანათი.
...
თქვენი ამაგი და სიყვარული
გულს წაუშლელად მაქვს
შეტანილი,
დღეს კი მახარებს დამშვენებული
ჩემი ხოლონი და თელავივი.
...
ეილათი და იერუსალიმი
სამშობლო მერგო ისევ ზღაპრული.
და სიყვარული ორივე ქვეყნის
განძივით დამაქვს გულში ჩაკრული.
...
მჯერა, რომ ისევ აღორძინდებით
და მოიშუშებთ მძიმე იარებს.
ფართოდ გაშალეთ ისევ მხარ-ბეჭი,
სულ აღმავლობის გზებით იარეთ!

## საქართველოს მონატრება

წუთში საქართველო, როგორ
მენატრება
ჩემი გამომზრდელი, ჩემი საბუ-
დარი,
მისი სატკივარი ჩემი ტკივილია,
მისი სიხარული ყველაზე საუკეთესო.
***
ბავშვობის მოგონება მე
მათგან სიცივე,
სითბო, სიყვარული, ჩამიწვეს სულში,
ფერადი სინათლით გზები
დამილოცეს,
საკუთარ დედას რომ ჩავკონდი
გულში.
***
ვგრძნობდი განშორება
ძალიან ძნელი იყო
და ამ ორ ცეცხლს შუა ვიწოდი
ლოდინს,
დღესაც აქ შორიდან ჩემი
საქართველო,
უფრო მეტად მიყვარს,
უფრო მეტად მხიბლავს.
***
მე აქ ჩემმა ქვეყანამ მიმიღო
მოწიწე-
ბით,
ამ მცირე მიწაზე ბევრი
რამ დამითმო,
თითქოს ჩემი ერთი ალი მიღებული
მომესიყვარულა და გული გამითბო.
***
და ისევ სამშობლოდან,
სამშობლოს ჩავეხუტე
გაუთავებელი ღელვა თუ
ალერსში —
და გთხოვთ მაპატიოთ,
გრძნობები უსაზღვრო
თუ ვერ ჩავატიე სუყველა
ამ ლექსში.
***
და როცა [illegible] ძალიან
ავღელდები
ლექსად ავინთები, ლექსად
ავმღერდები,
ორივეს მშობლიურთ
ლოცვად დავევედრები
და თქვენს სიყვარულში
სული არ დავიღლები.

*ნორა სეფიაშვილი*

# გადავარჩინოთ ჩვენი პროსპექტი

ჩემი უბანი „მეფეთუბანია". მეფეთუბანი ყოფილი პლეხანოვის გამზირი და ამჟამად დავით აღმაშენებლის სახელობის პროსპექტია.

ეს ის ადგილია, სადაც ჩემი ბავშვობის, ახალგაზრდობის და შუახნის წლებმა გაიარა. მიყვარს ეს პროსპექტი. აქ ხომ ყოველი კუთხე-კუნჭული მშობლიური და ნაცნობია.

დღეს, როდესაც ამ უბანში აღარ ვცხოვრობ (სხვა მრავალ პლეხანოველთა მსგავსად) ნოსტალგია მეუფლება, მენატრება პლეხანოვის პროსპექტი და სასეირნოდ მიმიწევს გული.

მივდივარ, დავყვები პროსპექტს და, როგორც უცხო ტურისტი, ისე ვტკბები იმ ლამაზი სახლების ხედით, რომელიც ამ პროსპექტს ამშვენებს. მაპატიეთ, მე მგონი ვცდები, ამშვენებს თუ უფრო სწორი თქმა იქნებოდა „ამშვენებდაო".

პლეხანოვის პროსპექტი ხომ თითქმის სულ უცხოელების მიერაა გაშენებული, ისე როგორც მრავალი სხვა ქუჩა თუ შესახვევი მის შემოგარენში. ძირითადად აქ შენობებს გერმანულ-რომაული ხუროთმოძღვრების დაღი აზის. გერმანელები, ფრანგები და იტალიელები დიდის რუდუნებით, უდიდესი გემოვნებით აშენებდნენ და ამშვენებდნენ შენობათა ფასადებს. ისინი ჩვენს ქვეყანაში, ამ მათთვის უცხო მხარეში მოდიოდნენ და ცდილობდნენ ევროპული განათლება და კულტურა შემოეტანათ და თავისი გარკვეული კეთილისმყოფელი გავლენა მოეხდინათ ქართველთა ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაზე.

უკვე, თითქმის საუკუნეზე მეტია, რაც პლეხანოვის პროსპექტს ამშვენებს მათ მიერ აგებული ულამაზესი შენობები, რაც პროსპექტის ისტორიაა.

იწურება მე-20 საუკუნე, საუკუნის დასასრულმა, როგორც ეს ისტორიულად ყოველ საუკუნეს სჩვევია ხოლმე, ცხოვრების სულ სხვა სტილი მოიტანა. შეიქმნა ახალი ქართველების ახალი საზოგადოება. მრავალმა მცნებამ დაკარგა თავისი აზრი და ღირებულება. რაღაც დაკნინდა, რაღაცამ სახე იცვალა, რაღაცა გაქრა.

მოხდა სიმახინჯისა და სილამაზის ერთმანეთში აღრევა. ძნელია ედავო დღევანდელ „აღმშენებლებს". მათ თავისი ცხოვრებისა და მშენებლობის



ბაქოს ქუჩა №2. არქიტექტორი პავლე შტერნი

ახალი, გაუგებარი სტილი აქვთ. ვისაც რა უნდა იმას აშენებს, თუ მიაშენებს; და ამახინჯებს ჩვენს ლამაზ ქალაქს. თბილისის ბევრი რაიონი ხომ შენობათა გროვაა და სხვა არაფერი. მარტო ელბაქიძის დაღმართი რად ღირს ამის დასტურად.

ეხლა კი, ვიღაცას მავანს და მავანს, ფულის შოვნის ნიჭით დაჯილდოვებულს, მაძღარს და თვით ულაზათოს, მოსდომებია ჩვენი ანტიკვარული, მშობლიური პლეხანოვის პროსპექტის დამახინჯება — გადაკეთება.

დავიწყოთ პლეხანოვის იმ მხრიდან, სადაც კინოსტუდია მის მოპირდაპირე მხარეს მალაზია „ბატას" გაგრძელებაზე უძველესი ჩუქურთმიანი სახლის არქიტექტურა ვიღაცას არ მოსწონებია და ქვის ლოდებისაგან შემდგარი გროვა მიუდგამს. მის გასწვრივ გადაჭრი მოედანს და რას დაინახავ? სკვერის გაგრძელებაზე ბაქოს ქ. №2-ში გოთური სტილით ნაშენები ულამაზესი სახლი (რომლის ავტორია გერმანელი არქიტექტორი შტერნი, აშენების თარიღი 1892 წ.) ვიღაცას კლანჭებში ჩაუგდია და თავისი მდაბიო, ულაზათო გემოვნებით შენობას სახეს უცვლის.

სადღაც გამქრალა ლამაზჩუქურთმებიანი აივანი, ხოლო მეორე აივანი ალბათ მალე აგურით ამოშენდება, შეილესება, შუშებში ჩაიკირწყლება და ეს ულამაზესი შენობა აღიგვება პირისაგან-მიწისა. ასევე შეიცვალა სახე ყველა იმ შენობამ გამზირზე, რასაც კი ბარბაროსთა ხელი შეეხო. წაიშალა ძველი სახე მეფეთუბნის დედოფალ პროსპექტისა. შევიწროვდა ტროტუარი, ისედაც ვიწრო პროსპექტი მიშენებათა ხუხულად იქცა. აღარ არის ხალხისათვის ნორმალურად სავალი გზა. მანქანის სადგომად ქცეული გადატვირთული პროსპექტი უჟანგბადოდ იხრჩობა და მასთან ერთად ილუპება გამზირზე მაცხოვრებელი ყოველი სულიერი.

ეს მოიტანა ახალმა ცხოვრებამ, ცხოვრების ახალი წესის დამკვიდრებამ. შეიცვალა ადამიანთა ფიზიოლოგია. ფიზიოლოგიური ფაქტორები კი დიდ გავლენას ახდენს ადამიანის მორალურ და ინტელექტუალურ უნარშესაძლებლობებზე.

აუცილებელია ქვეყანას ჰყავდეს მორალური და სინდისიერი ინდივიდები. არაფერი არ შეიძლება იყოს სწორი, რაც მორალურად არასწორია. სწორედ მორალურმა ადამიანებმა უნდა გადაარჩინოს ჩვენი სამშობლო ნგრევაგანადგურებისაგან.

„ის ადამიანები, რომლებიც ვერ ახდენენ არჩევანს კარგსა და ავს შორის, სიბრძნესა და მანკიერებას შორის, განიცდიან სულის დეფორმაციას, რაც ზემოქმედებას ახდენს ადამიანთა მორალურ უნარზე. ეს კი სამედიცინო კვლევის სფეროა" — ასე წერდა 200 წ. წინ ამერიკის ფსიქიატრიული ასოციაციის მამამთავარი ბენიამინ რაში. ის იმედოვნებდა, რომ მკვლევარები აღმოაჩენდნენ ისეთ წამალს, რომელიც იმოქმედებდა ადამიანის მორალურ უნარზე. მას შემდეგ ორასი წელი გავიდა და მსოფლიო სამყარო ისევ კვლევა-ძიებაშია — ვერავინ შეძლო ამ წამლის აღმოჩენა. ამორალურ ადამიანთა ხელში ნადგურდება ყოველივე წმინდა და ძვირფასი, ჩვენი ქალაქის ქუჩები, სახლები და ძველი უბნების კოლორიტი.

ქალაქს უნდა აშენებდეს (და არა ანგრევდეს) მხოლოდ ის, ვინც მისი ფასი იცის, ვინც დედაქალაქის სიყვარულში გაიზარდა და არა ის, ვინც არ იცის, რა არის პლეხანოვი პლეხანოველთათვის, რუსთაველი რუსთაველთათვის, ძველი თბილისი თბილისელთათვის.

ვინ არიან, საიდან მოვიდნენ ეს დამანგრეველნი, მორალურად და გემოვნებით დეგრადირებულნი, რომლებიც ჩვენს სულში ხელს აფათურებენ. სწორედ მათ განდევნეს პლეხანოვიდან პლეხანოველთა სული და დაიმკვიდრეს თავისი თავი პროსპექტის უგემოვნო „რესტავრაციით". ვინ აძლევს მათ ამის უფლებას, ვინ ანადგურებს მომავალი თაობებისთვის იმ სილამაზეს, რაც პროსპექტს გააჩნია? რას აშენებენ მასზე უკეთესს?

1903 წ. როდესაც თბილისის ფუნიკულიორის მშენებლობა დაიწყო (პროექტი შეადგინა ფრანგმა ინჟინერმა ა. ბლანშმა), არქიტექტურული ნაწილი დაამუშავა თბილისელმა ხუროთმოძღვარმა ა. შიმკევიჩმა, გზის მშენებლობას ხელმძღვანელობდნენ ბელგიელი და იტალიელი ინჟინრები ა. რიგოლერი და ა. ფონტანა-როსი.

ფუნიკულიორი გაიხსნა 1905 წ. 27 მარტს. ის მსოფლიოს სამთო-საბაგირო გზებს შორის ერთ-ერთი უდიდესი და ულამაზესი ნაგებობაა. თუ გამოვიკვლევთ თბილისის ყველა ლამაზი შენობის ისტორიას, აღმოჩნდება, რომ უმრავლესობა უცხოელებმა ააშენეს და გვაჩუქეს ქართველებს (ზემოთქმულში ხომ ერთი ქართული გვარიც კი არ ფიგურირებს).

დავფიქრდეთ, გვაქვს ჩვენ კი იმის უფლება, რომ მათი სიყვარულით — დიდი გემოვნებით ნაშენი ნაგებობები დავამახინჯოთ, გავანადგუროთ. რატომ არ შეიძლება, რომ მათ რესტავრაცია ჩაუტარდეს, როგორც ეს თბილისის ძველ უბნებში მოხდა?

საინტერესოა, რა ფენომენია ახალ ქართველში ისეთი, რომელიც მხოლოდ ნგრევისაკენ უბიძგებს მას და არა აღმშენებლობისაკენ. ნუთუ ჩვენი უმრავლესობა სამედიცინო კვლევის საგანია, ამორალური და დეგრადირებული?..

*პლეხანოველთა სახელით,*
*ნანული თევრაძე,*
*ნინო შაბურიშვილი*

## ქრონიკა

ხარაგაულის ცენტრალური ბიბლიოთეკასთან არსებული რეზო თაბუკაშვილის სახელობის ლიტერატურულმა თეატრმა 1999 წლის აპრილში ჩაატარა მწერალ გურამ რჩეულიშვილისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო-სპექტაკლი...

და, მართლაც, გაზაფხულის იმ ავდრიან დღეს კოპწია ზემო იმერეთის ამ ქალაქში დიდი ნარმატებით ჩაიარა საღამომ, რომელსაც დაესწრო უამრავი სტუმარი თბილისიდან თუ იმერეთის სხვადასხვა რაიონებიდან. გურამისადმი მონიწება და პატივისცემა გამორჩენილმა მწერლებმა რომ გამოხატეს, ეს თითქოს ბუნებრივი იყო, მაგრამ, აი, იმდენი ახალგაზრდის იქ მოსვლა კი იმისი დასტური გახლდათ, რომ გ. რჩეულიშვილის პროზას იცნობენ, კითხულობენ, უყვართ, თაყვანს სცემენ მის პიროვნებას.

საოცარი იყო თვით საღამოს კომპოზიცია, რომელსაც საფუძვლად ედო გურამის უახლოესი, უსაყვარლესი მეგობრის, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ნუგზარ წერეთლის, გურამის უმრწემესი დის მშვენიერი მარინე რჩეულიშვილის ნიგნად აკინძული მოგონებანი, მასზე დაწერილი ლექსები და სხვა ნაწარმოებები.

საღამოს უძღვებოდა იქაური მკვიდრი, ამ ბიბლიოთეკის გამგე იზა ვეფხვაძე და თანაც როგორ!

ეს იყო ერთი მსახიობის თეატრი, მშვენიერი ქალბატონის მიერ სცენაზე გათამაშებული, დიახ, გათამაშებული მწერლის ცხოვრება, ხანმოკლე, მაგრამ დიდი შემოქმედებითა და ვნებებით აღსავსე ცხოვრება, ვიდრე მის დაღუპვამდე. და ეს ისეთი გრძნობით, შთაგონებით „გაითამაშა" ქალბატონმა იზამ, რომ მთელი დარბაზი სულგანაბული უსმენდა და დამთავრების შემდეგ მხურვალე ტაში არ დაიშურა.

...ასეთი იყო შთაბეჭდილება, რომელიც თან გაჰყვა ყველას – სტუმრებსაც და იქაურ მკვიდრთაც...

# „ზღვამ დაგვტაცა შენი სიმაღლე"

და მაინც, მინდა მოკლედ გაგაცნოთ გურამ რჩეულიშვილის პიროვნება. მეფეთუბნელებს – რა თქმა უნდა, ჩვენს ტოლებსა და იქნებ პატარებსაც ახსოვდეთ. იგი ხომ ჩვენს უბანში, ყოფილი კალინინისა და რენინგერის ქუჩების კუთხის, ერთი ძველი ქართული სტილით ნაგებ, ჯამბაკურ–ორბელიანთა სახლის ქვედა სარდაფის ტიპის სახლში ცხოვრობდა. ამ სახლში ედოთ ბინა დიდ ივანე ჯავახიშვილს – გურამის ალალ ბებიას საშას ძმას, პროფესორ გიორგი ჯავახიშვილს – ივანე ჯავახიშვილის ძმას, გამოჩენილი კრიტიკოსის კიტა აბაშიძის ოჯახს და სხვებს. აქ, ამ სახლში, ახლაც ცხოვრობენ დიდი ივანეს შვილიშვილები დალი გერსამია და პროფესიით გეოლოგი, შესანიშნავი მწერალი, სცენარისტი და მსახიობიც დავით ჯავახიშვილი. ცოტა რომ წამოვიზარდეთ და უკვე დაუკითხავად ვბედავდით სახლებიდან გამოსვლას, კიევის ქუჩიდან, სადაც ჩვენი მე-19 ვაჟთა სკოლაა (ახლა 30-ე), თითქმის ყოველდღე მივდიოდით აღნიშნული სახლის ეზოში. იგი დიდი იყო, მერე რამდენიმე სახლიც, ეტყობა, უნებართვოდ აეშენებინათ, მაგრამ მთავარი ეზოდან ღობით იყო გამოყოფილი ძალიან მყუდრო, ხეებით დაჩრდილული აუზიანი ეზო, სადაც ჩასვლა სახლის აივნის კიბით შეიძლებოდა. იქ ვიკრიბებოდით ხოლმე, მერე კი უკვე შინაც გვეპატიჟებოდნენ გურამის დედა – საყვარელი დეიდა მარო და დათოს დედა – ასევე ჩვენთვის დაუვიწყარი დეიდა ნათელა. ერთმანეთთან ხშირად დავდიოდით, მაგრამ იმ ეზოში გვერჩივნა ყველას, რადგან ჩვენი სახლებიდან შორს არ იყო და იქ უფრო გვეხალისებოდა შეკრება, რაკი დათოც და გურამიც იქ გვეგულებოდა.

გურამის მამა – ძია მიშა ზოოტექნიკოსი იყო, მაშინ სულ ახალგაზრდა ვაჟკაცი, შემდეგ აკადემიკოსიც გახდა. ძია მიშა თავისი საქმის გარდა ნადირობით იყო გატაცებული და სხვადასხვა დროს – რის სეზონიც იყო, ნადირობდა ხოლმე. ნანადირევიც ხშირად მოჰქონდა და შემდეგ თავის მეგობრებს უმასპინძლდებოდა. საოცარი მეგობრები ჰყავდა – ძირითადად თავისი კლასელები, თელაველები, მხიარული, მომღერალი, მშვენიერი თვალ-ტანადები. ბევრჯერ დავსწრებივარ მათ ამ პურისჭამას და, დაბეჯითებით გეუბნებით, ის სუფრა იყო, დინჯი კახური პურობით, არაჩვეულებრივი სიმღერებით, სჯა-ბაასის აკადემია. ბევრჯერ ისეთი რამეც უთქვამთ, რომლის თქმა იმ დროს შეიძლება სიცოცხლის ფასად დაგჯდომოდა.

...და გარბოდნენ წლები. ჩვენი მეგობრობა უფრო მტკიცდებოდა, რაც წლები გვემატებოდა. გურამი ცელქი, დაუდგრომელი ბიჭი იყო, მასთან თუ იყავი აუცილებლად ისე მოიქცეოდი როგორც ის. ეს ყოველთვის თავისთავად ხდებოდა. ერთხელაც (ეს მეშვიდე კლასში იყო) ჩვენს მეგობარს, აწ გარდაცვლილ ოთარ იმედაშვილს დღეობა ჰქონდა. ბიჭები დაგვპატიჟა. თუმცა მისმა მშობლებმა სულ რამდენიმე ბოთლი ღვინო „გაიმეტეს", უბრალოდ, ოთარის სადღეგრძელებლად, მაგრამ იუბილარს „თადარიგი დაეჭირა" – ჩუმად ინახავდა თურმე ღვინოს სამალავში. და აი, როცა მისი მშობლების ყურადღება და ფხიზლობა მინელდა,


გურამ რჩეულიშვილი, კარლო არსენაშვილი, ნოდარ ზედელაშვილი

ოთარს სამალავიდან ღვინო გამოჰქონდა და ჩვენც ვწრუპავდით. ეშხში შესულმა თამადამ – გურამმა ოთარისა თუ, ახლა აღარ მახსოვს ვისი იყო, სვანური ქუდით მოისურვა შესმა და ღვინო ჩააპირქვავა. სანამ ქუდი გაიჟღინთებოდა, ღვინო საკმაოდ დაიტია, გურამმაც დალია და ალავერდი ჩვენთან გადმოვიდა. მაგრამ ქუდს უკვე წურწურით გასდიოდა ღვინო და, აბა, სადღეგრძელოებისათვის ვილას ეცალა, ისე ვსვამდით, კარგა გამოვთვერით. ოთარის მამა, ძია შალვა, როცა შემოვიდა ოთახში და დაგვინახა რა დღეში ვიყავით, გაოცდა, მაგრამ რალას იზავდა. ძველთაძველი „მოსკვიჩი" – „კატერინა", როგორც ჩვენ ვეძახდით, ჰყავდა, რიგრიგობით – ვინც ყველაზე ნასვამი იყო – პირველები ისინი ჩამოარიგა და თურმე მეორე დღეს შეშინე-


გურამ რჩეულიშვილი

ბული ელოდა, [illegible] საყვედურს, მაგრამ მგონია ასეთი რამ არავის არ უკადრებია.

მერვე გამოსაშვები კლასი (მაშინ ხომ გამოსაშვები – საშუალო განათლების კლასი მერვე იყო), რომ დავამთავრეთ, სანამ სოფლებში წავიდ-წამოვიდოდით, გურამი საღამოხანს ჩემთან შინ მოვიდა და მითხრა, წამო, გამოცდების დამთავრება აღვნიშნოთო. აბა, რა ფული ჩვენ უნდა გვქონოდა, მაგრამ ცოტაოდენი აღმოგვაჩნდა და მუშტაიდის ბაღში რესტორან „მტკვარზე" შევედით, თან მორიდებით აქეთ-იქით ვიყურებოდით, ვინმე ნაცნობი ხომ არ არისო. ერთი ბოთლი ღვინო და ორი მწვადი შევუკვეთეთ და ანგარიშის გასწორების დრო რომ დადგა, კარგად მახსოვს, ორ მანეთი დაგვაკლდა. ოფიციანტს დიდი ბოდიშით და ფიცით ვუთხარით – ხვალ მოგიტანთო, მაგრამ მან ფულის გამორთმევაც კი არ მოინდომა, შვილებო შეგარგოთო, თუმცა ჩვენ ფული მაინც დავტოვეთ და გარეთ გამოვედით. იქვე მახლობლად, მოლზე წამოვწექით და ვუსმენდი, როგორ ოცნებობდა გურამი, როგორ შეიძენდა გემს და ვიმოგზაურებდით ამ გემით... ეჰ, საოცარი ოცნება იცოდა ხოლმე იმ სულმნათმა! შემდეგ, თითქოს წინათგრძნობა აწვალებსო, სიკვდილზეც ლაპარაკობდა.

1950 წელი დადგა. ჩვენი თაობის ბავშვთაგან ბევრი ოცდაჩვიდმეტი წლის მსხვერპლი იყო, მაგრამ ჩვენ ეს გადმოცემით თუ ვიცოდით. და მოხდა დიდი უბედურება – ერთ ღამეს დაერია შინსახკომი და ყველა, ვინც კი ომში ტყვედ ნამყოფი იყო, დედაბუდიანად ყაზახეთის ტრამალებისაკენ უკრა თავი. მათ შორის აღმოჩნდა პიონერთა სასახლეში მხარეთმცოდნეობის კაბინეტის გამგე, ჩვენი საყვარელი მასწავლებელი, დეიდა ირინე მიქელაძე.

მისი ქმარი უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლებოდა, მაგრამ ეტყობა ცოცხალი იყო და ამიტომაც იგი და მისი ქალიშვილი სხვებთან ერთად გადაასახლეს. ჰოდა, დილაადრიან მოვარდა ჩემთან გურამი და მითხრა – დეიდა ირინეს ასახლებენ და წამოდი, იქნებ ვნახოთო. გული მიგრძნობდა, რომ არაფერი გამოგვივიდოდა, მაგრამ... წასვლით კი წავედით ნავთლუღში, მაგრამ იქ ვინ მიგვიშვებდა. ირგვლივ ქრისტეს ტირილი იდგა. გასახლებულებს მილიციის ალყაშემორტყმულ ვაგონებში – „ტეპლუშკებში" ჰყრიდნენ. იმნაირი მილიცია მანამდე არ გვენახა – შავ შინელებში გამოწყობილი, შავფაფახიანები... და ჩვენ სხვებსავით თვალცრემლიანები, ტრამვაით დავბრუნდით სახლებში, თუმცა შემდეგ ბევრი მალე დააბრუნეს...

...სკოლა დავამთავრეთ. ჩვენი ბიჭებიდან ბევრი პოლიტექნიკურ ინსტიტუტში შევიდა, მე, გურამი, დათო და ორიოდე სხვა – უნივერსიტეტში. გურამი აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე შევიდა ძველი აღმოსავლეთის ისტორიის განხრით. სწორედ ორმოცდაათიან წლებში აკადემიკოსმა გიორგი მელიქიშვილმა ლურსმნული წარწერები გაშიფრა და გურამიც დიდად იყო დაინტერესებული მისი შესწავლით, მაგრამ, მგონი, მეორე კურსზე, არ ვიცი, ვისი ბრძანებით, აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე მხოლოდ ირანული, არაბული და თურქული განხრა დატოვეს, დანარჩენი განხრები გააუქმეს და ისტორიის ფაკულტეტზე გადმოიყვანეს სტუდენტები. ასე რომ, მე და გურამი კვლავ ერთად ვსწავლობდით. ბედნიერი ხანა იყო, მოსაგონარი უამრავია, მაგრამ ერთი ამბავი მინდა გავიხსენო, რათა ხაზი


მარცხნიდან: გია კერესელიძე, მიშიკო გიგინეიშვილი, ნოდარ ზედელაშვილი, შურა მღებრიშვილი, გოგი რჩეულიშვილი და გურამ რჩეულიშვილი.

გავუსვა გურამის საოცარ თვისებას – უშიშარობას. მაშინ უნივერსიტეტის რექტორი – დიდი ნიკო კეცხოველი იყო, რომელსაც უზომოდ უყვარდა სხვასთან ერთად სპორტიც. ჰოდა, პირველკურსელებს ცურვაში უნდა ჩაგვებარებინა ნორმატივი – ორმოცდაათი მეტრი უნდა გაგვეცურა. წაგვიყვანეს სანაპიროზე აუზში – ახლა მის ადგილას რესტორანი „არაგვია" – და გვითხრეს დაიწყეთო. ბევრმა ცურვა არ იცოდა, მათ შორის გურამმაც. აბა, სად ისწავლიდა, მამამისს სულ მთაში დაჰყავდა. მე ალაზნის არხში ნასწავლი „ძაღლური" გამომადგა. გურამის ნაცვლად სხვა შევაპარეთ. მაგრამ გაირკვა, რომ კოშკიდანაც უნდა გადმოვემხტარიყავით. ერთ ჩვენს სტუდენტს გაიოზ მეტრეველს კოშკიდან გადმოხტომის ძალიან შეეშინდა. მაშინ გურამმა გვითხრა „მოცურავეებს", თქვენ წყალში ჩადით, გაიოზის მაგივრად მე გადმოვხტები და როცა ამოვყვინთავ, გამომიყვანეთო. და, თქვენ წარმოიდგინეთ, გადმოხტა. ეს არასოდეს არ დამავიწყდება! შემდეგ კი ისეთი ცურვა ისწავლა, რომ ზღვაში შესული თითქმის მთელი დღე წყალში ატარებდა ხოლმე.

გარბოდა [illegible] წლები. გურამი თითქოს რაღაც დიდისათვის ემზადებოდა. და აი, 1956 წელს, იფეთქა კიდეც – საოცარი მოთხრობები გამოაქვეყნა. 1956 წლის ზაფხულში ახალ ათონში ვისვენებდით, ხშირად ვქეიფობდით, საღამოობით ტურბაზის საცეკვაო საღამოებზე გოგონებს ვაცეკვებდით. და სწორედ იმ ზაფხულს გვიამბო პლაჟზე ერთმა რუსმა მამაკაცმა, თუ როგორ გადაარჩინა დახრჩობას ცოლშვილი კაცმა, თვითონ კი ნაპირზე გამოსულს გული გაუსკდა. ეს ამბავი აღწერა მან თავის შესანიშნავ „ნელ ტანგოში". იმხანად რაც უნდა გვიან მოსულიყო შინ, მთელ ღამეს მაინც მუშაობდა, დილით კი ზღვას შეცურდებოდა და თითქოს ღამე არც კი გაეტეხოს. ზღვას ძალიან ბევრი მოთხრობა მიუძღვნა გურამმა.

მერე რამდენიმე ხნით მოსკოვში ცხოვრობდა. მახსოვს 1958 წელს მე, როგორც დეკადის მონაწილე, მარტში მოსკოვში ვიყავი. ნუგზარ წერეთელი და ნოდარ ცხვირავაშვილიც ჩამოვიდნენ და როგორც კი მოვიცალე, გურამთან წავედით. ერთი ყაზარმული ტიპის სახლის პატარა ოთახში ცხოვრობდა, ძალიან გაუხარდა ჩვენი ნახვა, ჯერომ ჯერომის ორტომეული მაჩუქა თავისი წარწერით და ახლაც სათუთად ვინახავ. მაშინ პუშკინის მოედანზე ბადაევის ლუდხანა იყო, პირდაპირ ქარხნიდან მოდიოდა ლუდი და მუდამ ჭირდა შესვლა. მაგრამ გურამს ისეთი სახელი მოეხვეჭა კარისკაცებსა და ოფიციანტებში, რომ კარს მაშინვე ულებდნენ და ადგილსაც მალე მოუძებნიდნენ ხოლმე. ცოტა გადავკარით, გურამი გვაცნობდა იქაურ მუდმივ კლიენტებს – უკვე გალოთებულებს: აი, ეს აკადემიკოსია, ეს სახალხო არტისტიო და სხვა. ყველაფერს აკვირდებოდა და ინიშნავდა, რათა შემდეგ ნაწარმოებებში გამოეყენებინა.

...ის ავბედითი 1960 წლის 23 აგვისტოც დადგა. ყუმბარასავით გავარდა მისი დაღუპვის ამბავი. ბევრნი გაგრაში გაემგზავრნენ, მე ვერ შევძელი წასვლა, ღმერთს მადლობას ვწირავ, რომ ვერ წავედი, რომ ვერ ვნახე მესამე დღეს უკვე დამშვიდებული ზღვის მიერ შორს, დაბა განთიადში გამორიყული ნატანჯი გურამის გვამი, მამას, ძია მიშას თვალი შეუვლია თუ არა, ერთი დაუგმინია და უთქვამს – გურამიაო. ჩემთვის გურამი კვლავ 26 წლის ხუჭუჭთმიანი, დაკუნთული, მხიარული, ანცი და დაუდგრომელი ყმაწვილია. თუმცა, ხედავთ, რამდენი დრო გასულა – 65 წელი უსრულდება. და რაც დრო გადის, მისი სახელი უფრო და უფრო იზრდება, ახალ-ახალ მკითხველს იძენს... დაე, ასე იყოს მარად!

*ნოდარ ზედელაშვილი*

# ლითონში ამეტყველებული

„ხელოვნებაა თავად უკვდავება, მხოლოდ ოსტატს ვერ ეწევა სიკვდილი", ამბობს დიდი კონსტანტინე და ეს შეძახილი მთელი ცხოვრების მანძილზე რეფრენივით მიჰყვება ერთ უბრალო, მაგრამ ხელოვნებაში დიდ ადამიანს.

ნინო სიდამონიძე ნამდვილი თბილისელი, თავისი ქალაქის ღირსეული შვილია. იგი, როგორც ძველად იტყოდნენ „გოლოვინის" პროსპექტზე დაიბადა და აღიზარდა. იქ, სადაც სინაღდის, სილამაზის, ადამიანობის და თბილისის ნამდვილი სახე იხატებოდა. უხმაურო ნაბიჯებით მიდიოდა წინ, თავის შემოქმედებაზე უზადოდ შეყვარებული მხატვარი და არასოდეს დაუძახია: მოდით, მნახეთ, დამინახეთ. მას ყოველთვის სწამდა „საქმემან შენმან წარმოგაჩინოს".

გადის წლები, ქალბატონი ნინო ამთავრებს თოიძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელს და შემდგომში სამხატვრო აკადემიას. ჩუმი, უხმაურო ნაბიჯებით დაუყვებოდა ქუჩებს, სიხარულითა თუ მწუხარებით აღვსილი და შემდეგ თავის სულის სიმაღლეს ლითონსა და სპილენძში ამღერებდა და ატირებდა. „სერაფიტა", „ქალღმერთი დალი", „ვეფხისტყაოსნის გმირები", „მონოლოგი", „ლოდინი" და სხვა.

უამრავი ჭედურობის ნიმუში თითქოს უტყვი, გაქვავებული, უხმო ლითონიდან გიმზერს და სულის შეძვრამდე გაფორიაქებს, ძალას გმატებს, სიცოცხლის ესთეტიზმს განგაცდევინებს. „შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო", არ მინდა დიდი გულისტკივილი და მოუნელებელი ბოლმა დამწამონ, მაგრამ, სადღაც მაინც ასე მოხდა ნინოს ცხოვრებაში. როდესაც მისი ნამუშევრების გამოფენა წარმატებით მიდიოდა: საფრანგეთში, იტალიაში, ინგლისში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, გერმანიაში, ჩვენს


ნინო სიდამონიძე

ქალაქში, ალბათ, ცოტამ თუ იცოდა მისი ამეტყველებული ხელოვნების შესახებ.

მყუდრო ოთახი, თითქმის სახელოსნო, ლამაზად შერჩეული ფერებით, მოხატული კედლებით და ბუხრით, ექსპონატები, რომლებიც ძველ არქაულ სამყაროსთან გვაკავშირებენ და კედლიდან მომზირალი მისი ჭედური ხელოვნების ნიმუშები, სიმშვიდე და სისადავე სუფევს ირგვლივ, ოღონდ სურნელია აქ უცნაური, გაჯერებული მოწიწების გრძნობით, გაჟღენთილი მუხტი, რომელიც გაფიქრებინებს, მაინც ძალზედ ლამაზია სიცოცხლე, რომელიც ხელოვნების სამსახურში დგება. ასე გამოიყურება ნინო სიდამონიძის პატარა, მყუდრო, სულიერებით სავსე სახელოსნო. სარკმლის მიღმა კი ცხოვრება გრძელდება და თავისი ჩვეული რიტმით ბობოქრობს, მაგრამ ყოველივე ეს მხატვარს ნაკლებად აწუხებს და ბედნიერია მართლაც ადამიანი, რომელიც ქმნის თავის სამყაროს, თავის ადგილს პოულობს და მართლაც ბოთლიდან განთავისუფლებული ჯინივით სასწაულებს ჩადის. კვლავ კონსტანტინეს დავესესხები: „ეს ქვეყანა არც ისე ცუდად მოუწყვია პირთა გამრიგეს, ყველაფერი ამ მიწაზე იმისთვის შეემთხვევა კაცს, რომ თავის თავს და თავის ღმერთს მიაგნოს".

ალბათ სჯობს აქ შევჩერდეთ, რადგან იმაზე კარგი არაფერია, როცა საკუთარ თავსაც ამკვიდრებ და ქმნი იმ ნიმუშებს, უშენოდაც რომ ისაუბრებენ შენზე, შენს ცხოვრებაზე და სულზე. ჩემს თანამემამულეებს ვურჩევ დაინტერესდნენ, მოინახულონ ნინო სიდამონიძის სალონი, სანამ ხელთ გვაქვს ეს ნამუშევრები, სანამ არ იყიდეს უცხოელებმა და გაიტანეს საქართველოდან.

თქვენ კი, ნიჭით კურთხეულო ქალბატონო, გისურვებთ თქვენი დიდი ხელოვნების ჭეშმარიტი შემფასებლები და თაყვანისმცემლები არ დაგლეოდეთ.

*თამარ გარძიმაშვილი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი სახლი, ჩვენი ქუჩა, ჩვენი სკოლა, ჩვენი უბანი, ჩვენი თბილისი

*„ერთ პატარა ეზოს*
*ჰყავდა ორი რეზო*
*და ორივე ერთად*
*ექვსი წლის“;*

ამ სიმღერას მღეროდა ყველა, დიდი თუ პატარა, პლეხანოველი თუ სოლოლაკელი, მღეროდა მთელი თბილისი. ვმღეროდი მეც, ეზოში ბაფთიანი ბავშვი, კლასობანას თამაშის დროს. ეს სიმღერა მიყვარს დღესაც და მას ჩემი ბავშვობა ჰქვია.

პიროვნება საინტერესოა მაშინ, როდესაც იგი თავის ცხოვრების გზაზე, შემოქმედებით საქმიანობაში ეძიებს, პოულობს და აღწევს. როდესაც მოკრძალებული თავაზიანობით თავდაუზოგავად და ერთგულებით ემსახურება საყვარელ საქმეს. უშრეტი ენერგიის წყალობით, დაჯილდოებული ნიჭით, არაჩვეულებრივი ელეგანტური გარეგნობით, პატივსაცემი თავადური წარმოშობით, ავთანდილ (ბაჯული) გელოვანი, ახალგაზრდობის წლებში, ესტრადის საუკეთესო ოსტატად მოგვევლინა. შეიძლება ბევრს ჰგონია, რომ ამ ადამიანის ცხოვრების გზაც ისეთივე ბედნიერი იყო, როგორც შემოქმედებითი. ალბათ მეც ასე ვიფიქრებდი, მაგრამ როდესაც პირადად გავეცანი ბატონ ბაჯულის დღიურებს, სხეულში სიცივე ვიგრძენი, მეგონა, სისხლი გამეყინა. მძიმე ბავშვობა, გულგატეხილობა, სიმარტოვე, უმამობა. „ჩვენ ეზოში, როგორც თბილისის ყველს ეზოში, ტყავის პალტოში გამოწყობილმა უბედურებამ შემოაბიჯა“ – ასეთი შეფასებით არის მოხსენიებული 1937 წელი, რომელმაც იმსხვერპლა გიორგი გელოვანი. „ძალზე დიდი ჭრილობა“, ეს დიდი სევდა მთელი სიცოცხლის მანძილზე მოუშუშებლად ატარა ბაჯული გელოვანმა. ნიჟნი ტაგილი, დღესაც „მწუხრის ზარივით რეკს“ გელოვანების ოჯახში, რადგან ბატონი გიორგის ნატანჯი ძვლებია იქ ჩამარხული. გავიდა დრო და შვილმა „სიკვდილის გზა“ ტანჯული მამის მიერ განვლილი, მთავრობის ესკორტის თანხლებით განვლო, „გზა ერთი, ბედი სხვადასხვა. ერთის დამთავრდა ჩუმად, უხმოდ, სასაფლაოზე, ხოლო ჩემი დღევანდელი გზა ნიჟნი ტაგილში დამთავრდება ქება-დიდებით, ტაშით და სადღეგრძელოებით“, იგონებს ბატონი ბაჯული.

და დადგა სტუდენტური წლები, რომელიც დაკავშირებულია საქართველოს პოლიტქენიკურ ინსტიტუტთან. თანდაყოლილი შესანიშნავი იუმორით არის აღწერილი ერთ წერილში სწავლების სტრუქტურა: „თუ გინდოდა საქსაფონზე დაკვრა გესწავლა და თანაც კარგი ინჟინერი გამოსულიყავი, უნდა გეზრუნა პოლიტეკონომიის საფუძვლიან შესწავლაზე“. ეს მოგონება, ჩემი აზრით, ბევრს ღიმილს მოჰგვრის სახეზე. ერთხელ კოტე პევზნერს ასე უხუმრია „Музыкальный Институт с некторым техническим уклоном“. შესანიშნავმა ხელმძღვანელებმა და ნიჭიერმა ახალგაზრდობამ, შემოქმედებითად საინტერესო პოტენციალმა ჩამოაყალიბა თვითშემოქმედების ახალგაზრდული კოლექტივი. სწორედ ეს პერიოდი უნდა ჩაითვალოს საწყის ეტაპად, რომელიც შემდგომში ჩამოაყალიბებს საუკეთესო ქართულ ჯაზორკესტრს.

პირველი ხელმძღვანელის სახელი კოტე კარგარეთელი გახლავთ, ხოლო შემდეგ ხელმძღვანელობს იოსებ ტუღუში.

„დავამთავრე პოლიტექნიკური ინსტიტუტის ხელოვნების სტუდია“ ასე ხუმრობდა ხშირად ბატონი ბაჯული, მაგრამ მართლაც, მან მიიღო შესანიშნავი წრთობა და გამოცდილება ისეთ მოღვაწეებთან, როგორებიც იყვნენ: ქორეოგრაფები – დავით მაჭავარიანი და ბუხუტი დარახველიძე, ვოკალში – კომპოზიტორები სანდრო მირიანაშვილი და გიორგი ცაბაძე, თეატრალურ ხელოვნებაში – აკაკი დვალიშვილი და მიხეილ თუმანიშვილი, ჯაზორკესტრში იოსებ ტუღუში და კოტე პევზნერი. ამ საქმიანობის ორგანიზატორი გახლდათ დორიან კიტია.

ორკესტრში თავდაპირველად ბაჯული გელოვანი მოვიდა როგორც მომღერალი და შეასრულა თავისი მეგობრის შოთა ვადაჭკორიას სახუმარო ლექსზე დაწერილი სიმღერა „ისთევლე წლის თავია“, რომელმაც პირველი წარმატება და ნათლობა მოუტანა ესტრადაზე. ერთხელ კოტე პევზნერის შეთავაზებული სიმღერის ამერიკული „ზანგური ნანას“ შესახებ საინტერესო ამბავი მოხდა. კომისიაში კომკავშირულ ხელმძღვანელობას არ მოეწონა სიმღერის წარმოშობა. კოტე პევზნერმა განაცხადა „დიახ! სიმღერა ამერიკულია, მაგრამ გაითვალისწინეთ ეს არის ამერიკის იმპერიალიზმის მიერ ჩაწიხლული და შიმშილის პირას მიყვანილი ზანგის სიმღერა“. სიმღერა შესრულდა და შემსრულებელმა მადლობაც დაიმსახურა. ხშირად ბატონი ბაჯული გამოდიოდა საღამო-კონცერტის წამყვანად, რომელზეც დამოკიდებული იყო ის განწყობილება, რომელიც ხიდად უნდა გადებულიყო დარბაზსა და სცენას შორის. საღამო იწყებოდა და ძირითადი სუნთქვა, ტემპი და რიტმი, წამყვანის ხელოვნებაზე, ხასიათზე და უნარზე იყო დამოკიდებული.


ავთანდილ (ბაჯული) გელოვანი


ანსამბლი „ორერა“
სხედან: ზურა იაშვილი, ბაჯული გელოვანი, თემურ დავითაია.
დგანან: რობერტ ბარძიმაშვილი, ნანი ბრეგვაძე, თამაზ ფანჩავიძე.

## „ყველაფერს დავთმობ, იმედის გარდა“

ქართული მუსიკალური ესტრადა გაჭირვებით და დიდი ძალისხმევის შედეგად იკიდებდა ფეხს ხელოვნებაში. მისი დაბადების დღიდან ყოველი გადადგმული ნაბიჯის მონაწილე და გამზიარებელი ბატონი ბაჯული თავის ერთ-ერთ დღიურში აღნიშნავს „მოვედი თვითშემოქმედებიდან და სრულიად არ მრცხვენია, მოვედი ძალიან სუფთა“. პირველი ქართული კვარტეტის შემადგენლობა ასეთი იყო: გურამ ბაკურაძე, გურამ ბზვანელი, ავთანდილ გელოვანი, შოთა ხარაბაძე. ჩატარებული კონცერტებიდან ბატონი ბაჯული იხსენებს მოსკოვში ერთ-ერთ საღამოს, სადაც ხალხის ტევა აღარ იყო დარბაზში. „ცვარსმანი პირველი რიგის წინ იატაკზე იჯდა. საულსკი გამნათებლის ლოჟიდან იყურებოდა. პარტერის უკანა კედელზე იყო აკრული მაღალი კაცი იან ფრენკელი. ეს კონცერტი ფეიერვერკს ჰგავდა“.

1956 წელს შეიქმნა საქართველოს კულტურის სამინისტროს მიერ სახელმწიფო საესტრადო ორკესტრი „რერო“, სადაც სალაპარაკო ჟანრის მსახიობად მიიწვიეს ბატონი ბაჯული.

„ორერას“, როგორც დამოუკიდებელი ანსამბლის პირველი სოლო კონცერტის ავტორი ბატონი ავთანდილი გახლავთ, რომელმაც სულ 12 პროგრამა შექმნა ამ ანსამბლისათვის. გარდა ნიჭიერი შემსრულებლებისა, ორკესტრის წარმატებას საფუძველი დაუდო ერთმა ჩანაფიქრმა, რაც მეტად ორიგინალური და ახალი სიტყვა იყო ჩვენს ესტრადაზე. ერთფეროვნების თავიდან ასაცილებლად, ავტორმა შემსრულებელს მისცა მოქმედების, მოძრაობის და პლასტიკის უფლება, რამაც განაპირობა სცენის სიცოცხლისა და მოძრაობის ლამაზი სულიერება, რაც უდაოდ ესადაგებოდა სიმღერის ხასიათს და შინაარსს.

შემოქმედების შემდგომი პერიოდი დაკავშირებულია ანსამბლ „ივერიასთან“, რომლის ერთ-ერთი სულის ჩამდგმული გახლავთ ბატონი ბაჯული.

პატარა მუსიკალურმა სკეჩებმა ნიადაგი მოუმზადა მუსიკალურ დადგმას „რწყილი და ჭიანჭველა“, რომლის შემდეგ იქმნება პირველი ქართული მიუზიკლი „ჩხიკვთა ქორწილი“. ამ ანსამბლს ბატონმა ბაჯულიმ ხუთი პროგრამა გაუკეთა. კონცერტების ანშლაგების შესახებ აღარ ვილაპარაკებ, მოვიყვან მარტო ერთი ამერიკელის მიერ ნათქვამს: „ეს ცნობილი იმპრესარიოს იუროკის დონეზე გაკეთებული კონცერტიაო!“ „რერო“, „ორერა“, „ივერია“, ეს სახელები ყოველი ჩვენთაგანისათვის საყვარელი და დაუვიწყარია, ბევრს მოაგონდებოდა თავისი ახალგაზრდობა, ის აჟიოტაჟი, რაც ახლდა ყოველი კონცერტის დროს. მათი ერთიანი სახელწოდება შეიძლება ასე გამოიხატოს: „ჩვენი ესტრადა“.

თენგიზ ჩანტლაძის და ბატონი ბაჯული გელოვანის მეგობრობის და საესტრადო მოღვაწეობის ნაყოფია ქართული მინიატურების თეატრის შექმნა. გარდა თანაავტორობისა, ბატონი ბაჯული რეჟისორის მოვალეობასაც ასრულებდა, ერთი პერიოდი მუშაობდა ქართულ ფილმში სცენარისტად. შემდეგ 1977 წლიდან იგი საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საესტრადო სახელოსნოს მთავარი რეჟისორია, ხოლო შემდეგ დაინიშნა ფილარმონიის მთავარ რეჟისორად.

უყვარდა სიცოცხლე, ეფერებოდა და ჩუქნიდა თავის ხალხს სიხარულს, მან იარა შემოქმედებითი გამარჯვებებით სავალი გზები, მაგრამ მაინც სევდანარევი ინტიმი, მოუშუშებელი ჭრილობა, „მხიარული სევდა“ ყოველთვის თან სდევდა და ამ სევდას ბაჯული გელოვანი ჰქვია.

ძნელია ჩამოთვალო ის ტექსტები და სიმღერები, რომლებიც ხშირად სრულდებოდა ესტრადაზე, ჰყავდა თავისი მსმენელი და გულში სიყვარულით ჩარჩენილი ჰანგები ყოველთვის იმსახურებდა მქუხარე ტაშს. ხშირად სიმღერების ტექსტიც და მუსიკაც ერთ პიროვნებას ავტორს ეკუთვნოდა. „შენ ხომ ჩემი გოგონა ხარ“, „ორი რეზო“ და სხვა. ბაჯულის ტექსტებზე ხშირად ქმნიდნენ სიმღერებს კომპოზიტორები: პევზნერი, ბასილაია, სებისკვერაძე. ბევრი მათგანი იყო პოპულარული და ხშირად სრულდებოდა რადიოში, თუ საკონცერტო დარბაზებში. ერთმა სიმღერამ, ჩემი აზრით, რომელიც დღესაც სრულდება მომღერალ დეა ჯაბუას მიერ, „მეორე ლეგენდა“, მართლაც ზღაპარივით ტკბილია და მოსმენა შეიძლება უსასრულოდ. ეს სიმღერა თითქოს სადღაც სულის ტრამალებში იმალება და ძალიან ხშირად ჩემდაუნებურად წამიმიღიღინია. იცით რატომ? მომნატრებია. სიმღერის შექმნის პროცესი ჩემთვის უცნობია, მაგრამ სრულიად უმნიშვნელოა, პირველად ტექსტი დაიწერა, თუ კომპოზიტორმა ნუნუ გაბუნიამ შემდეგ მუსიკა. მთავარი ის არის, რომ სიმღერა მართლაც ზღაპრული გამოვიდა და იგი მიეკუთვნე ისეთ სიმღერებს, რომლებსაც დავიწყება არ უწერია.

ბატონი ავთანდილის ოჯახში სუფევდა სიმშვიდე, სიწყნარე და დიდი სიყვარული. მოკრძალებული ქალბატონი დალი ავალიანი თავისი მეუღლის პოეზიის მუზა გახლავთ.

„ახლა შვილები დაგვიფიცებენ სიყვარულისთვის,
ის პირველი სიყვარული არ დაგვიკარგავს,
ისევ მესმის შენი ფიცის განმეორება,
დედა მომიკვდეს, მამა მომიკვდეს, მართლა მიყვარხარ!“

„საქართველოთი დაავადებული“ ძნელად განიცდის მის ყოველგვარ სატკივარს, მაგრამ „გოჯა-გოჯა მოზომილი“ სამშობლოს გზა აუცილებლად იმედიანი უნდა იყოს, ამდენად ცრემლნაპკური ერთი ტაეპი ომახიანად ჟღერს:

„ლეკვებს ნუ დაგვაზრდევინებთ
ალგეთში ძველებურადა
ქვაზე ნუ აგვალესინებთ
ხმალ-ხანჯალს ძველებურადა“.

„ეს მეოცე ტანჯული საუკუნეც მთავრდება“, ამბობს ავტორი და აქვე დასძენს „ეს ცხოვრება ყოფილა უსასრულო ბიბლია“.

თითქოს გრძნობდა მოახლოებულ განშორებას უსაყვარლეს შვილიშვილებთან, თუ არა და რამ დააწერინა ეს ანდერძი? „ჩემო შვილიშვილებო, ვატო და გიორგი! ახლად თვალგახელილები, როგორ გაგიშვათ მარტო, უჩემოდ ცხოვრების ახალ გზაზე... გიყვარდეთ მოყვასი თქვენი, გიყვარდეთ თქვენი ოჯახი, სიყვარული დიდი ბედნიერებაა, დაიმახსოვრეთ ხასიათს გონება არ დააჩაგვრინოთ, იყავით დამთმობნი და შემწყალენი, რამეთუ ეს ამშვენებს სულს. მინდა ბოლომდე საყვარელი ბაბუა დავრჩე თქვენთვის“.

უკვე ხუთი წელი სრულდება, რაც ავთანდილ გელოვანი გარდაიცვალა. ვარდობის თვეში დაბადებული, ვარდებით გააცილეს. წლები კი მირბიან „მიჰქრიან ქარდაქარ“, ბედისწერა ცხოვრების გზას კი თავისებურად ატრიალებს და დგება ჟამი, დგება დრო თითოეული ჩვენთაგანის წინაშე, როდესაც გულის სიღრმეში იბუდებს სევდა ერთი კითხვით „სადა ხარ“?

*ნანა მიმილური*


ბაჯული გელოვანი და ანსამბლი „ვაგა“


გურამ ბაკურაძე, გურამ ბზვანელი, ავთანდილ გელოვანი, თამაზ ციციაძე, შოთა ხარაბაძე, აბესალომ ლორია

# ჩვენი სახლი, ჩვენი ქუჩა, ჩვენი სკოლა, ჩვენი უბანი, ჩვენი თბილისი

## მიშა მგალობლიშვილი

„...მივყავდი ტალღას შეცბუნებული,
თვალები მქონდა გაოცებული,
მომბეზრდა თითქოს შიში, სიბნელე
და თვით სიცოცხლეც გზააბნეული...“

ასე წერდა 1992 წელს მიშა მგალობლიშვილის 15 წლის შვილიშვილი რატი, თავის ერთ-ერთ უსახელო ლექსში. იმიტომ ვიხსენებ ამ ნიჭიერ ბიჭუნას, რომ იგი 1994 წლის 24 ნოემბერს, 18 წლის ზღურბლთან მუხანათურად გამოასალმეს სიცოცხლეს. სხვა, როგორ უნდა დაწყევლო და გაამწარო ბაბუა, თუ არა ასეთი სისასტიკითა და ცინიზმით მომხდარი შემთხვევით, ტრაგედიით. და გატყდა ვაჟკაცი, ვერ გაუძლო ამ უბედურებას და წავიდა ჩვენგან, წავიდა კაცი, რომელიც უხდებოდა თბილისს, ყველა იმ თვისებებით დაჯილდოებული პიროვნება, როგორიც მხოლოდ ქალაქელს უნდა ჰქონოდა.

მიშიკო – ასე ვეძახდით ახლობლები მიშა მგალობლიშვილს, იყო ლამაზი, ვაჟკაცური გარეგნობის, რაინდული სულის პატრონი. კარგი მოლხენი, მომღერალი და ძლიერი მუშტის პატრონი, მეგობრების უსაზღვროდ მოყვარული, ალალმართალი, უღალატო კაცი.

...„ერთხელ, – იგონებს „ხალიანი გუგას“ ძმა ზაურ გიორგობიანი, – ცნობილი სომეხი საოპერო მომღერალი გოჰარ გასპარიანი გასტროლებზეა თბილისში და პლეხანოვზე, ყოფილ „გოფილექტის“ ბაღში მდგარ საკონცერტო-საზაფხულო თეატრში მართავს კონცერტს. საზაფხულო თეატრი გადაჭედილია, კამერული მუსიკის თბილისელი მოყვარულებით. „გოფილექტის“ ბაღში თავმოყრილია გოჰარ გასპარიანის უბილეთო თაყვანისმცემლები, რომლებიც მისეული არიან საზაფხულო თეატრის ხის კედლებზე და სუნთქვაშეკრულები ისმენენ დარბაზიდან გამოსულ გასპარიანის მომაჯადოებელ ხმას. ამ დროს, მიშა მგალობლიშვილი თავის ამფსონებით ქეიფობს „გოფილექტის“ ბაღის საზაფხულო რესტორანში, ჭადრების ქვეშ გაშლილ სუფრასთან, საზაფხულო თეატრთან შორი-ახლო. მორიგი სადღეგრძელოს შემდეგ, სიმღერის ხასიათზე მოსულმა მიშამ მაღალი ხმით (ძლიერი დრამატული ტენორი ჰქონდა) სიმღერა წამოიწყო, მას თანამესუფრენიც აყვნენ და ბაღს ქართული სუფრული სიმღერების ხმა მოეფინა.

მოქეიფეების სიმღერას და განსაკუთრებით მიშას მაღალმა ტემბრმა საზაფხულო თეატრშიც შეაღწია. გოჰარ გასპარიანს აღარ ესმის ორკესტრის ჟღერადობა, ორკესტრს – გოჰარას ხმა. გაჩერდა მომღერალი – გაჩერდა ორკესტრიც. მიშამ დაამთავრა სიმღერა, სიმღერა სადღეგრძელოებმა შეცვალეს. სულგანაბული მსმენელი ელოდება კონცერტის გაგრძელებას, ჩამოვარდნილი სიჩუმით ისარგებლა გასტროლიორმა და კონცერტი განაგრძო. მიშამ მოათავა მორიგი სადღეგრძელო და მაღალ ხმაზე სიმღერა წამოიწყო, კვლავ გაჩერდა ორკესტრი და მომღერალი. ასე განმეორდა რამდენჯერმე. ბოლოს, კონცერტის ორგანიზატორებმა დელეგაცია გაგზავნეს მიშასთან, იქნებ დაგვეხმაროთ კონცერტის ჩატარებაში და ცოტა ხნით სიმღერისაგან თავი შეიკავოთო. „რა, არ მოგწონთ ჩემი სიმღერა?“ – აინთო მიშა და ის იყო მუშტით უნდა დაერბია მომხდურები, რომ აუხსნეს საქმის ვითარება, დაწყნარდა, ბოდიში მოიხადა.

რაინდული ბუნების მიშამ იქვე მდგან გაზონებში ცოცხალი ყვავილები დაკრიფა და დელეგაციის წევრებს გოჰარ გასპარიანთან გაჰყვა ბოდიშის სათქმელად. იგი ავიდა სცენაზე და მიუახლოვდა გოჰარ გასპარიანს, მიართვა ცოცხალი ყვავილები, ხელზე ეამბორა, ამ დროს მომღერალს მიშას პიროვნებაც წარუდგინეს, რომლის სიმღერაც ასე უშლიდა ხელს კონცერტის ჩატარებაში; მიშამ ის იყო წასვლა დააპირა, რომ მომღერალმა ხელი მოჰკიდა, მაგრამ დაბლუჯა მისი ხელის მტევანი და ალერსით დაუწყო ყურება, გალიმებული სახით შესციცინებდა მიშას და სცენიდან აღარ უშვებდა.

გოჰარ გასპარიანი დიდებული ხმის პატრონი იყო, მაგრამ გარეგნულად ძალზე შეუხედავი ქალი გახლდათ, მუთაქასავით მრგვალი, დიდი თავითა და სახით, რომელიც კისრის გარეშე მხრებზე ედო, მონუსხულივით იდგა მიშას წინ და შეჰყურებდა ულამაზეს ქართველ ვაჟკაცს. შეზარხოშებული მიშა არ დაიბნა, უეცრად ცალ მუხლზე დაიჩოქა და მაღალი ხმით სიმღერა წამოიწყო: – „რომ წაგიყვანო, სად წაგიყვანო, სახლი არა მაქვს, სად მიგიყვანო, ერევანში წამოვალო“... დარბაზში ატყდა ხარხარი, გაოგნებული გოჰარ გასპარიანი უმწეოდ იდგა სცენაზე და სცენიდან მიმავალ მიშას ტაშით აცილებდა“...

მთელმა ქალაქმა გაიგო ეს ამბავი; მიშაც სიცილით იგონებდა ამ ეპიზოდს და თავისთან შეზრდილ მეგობარს, რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს, ღირსების ორდენის კავალერს ოთარ ბახტაძეს, რომელიც ხუთი ათეული წელია მუსიკალური კომედიის პრემიერი იყო, აბრაზებდა: – „ძმაო, რომ იმახი ასეთი მომღერალი ვარ, ზურაბ ანჯაფარიძესთან ერთად ვსწავლობდი კონსერვატორიაში, გოჰარ გასპარიანთან სცენაზე გიმღერია, მე მიმღერია...“

მიშა მგალობლიშვილი ძირძველი, ნაღდი ქალაქელი იყო. ის დაიბადა 1922 წლის 3 აპრილს თბილისში, ფიროსმანის ქ. №27-ში, „ოქროს უბანში“, რომელიც განუყოფელი ნაწილია „მეფეთუბნის“, ისეთი, როგორც დიდუბე, ნაძალადევი, კუკია, სვანეთის უბანი, ჩუღურეთი; მისი „ბირჟა“ მარჯანიშვილის მოედანი იყო. მიშა ბავშვობაში კარგად თამაშობდა ფეხბურთს. 1934-36 წლებში ფეხბურთის ბუმი იყო მთელ ქალაქში. ყალიბდებოდა უბნების, ქუჩების „ველური“ გუნდები. ასეთი გუნდი შეიქმნა „ოქროს“ უბანშიც, ფიროსმანელების, ორჯონიკიძის, გოგოლის, ხეჩუაშვილის, ნინოშვილისა და კონსტიტუციის ქუჩების მაცხოვრებელი 13-14 წლის ბიჭებისაგან, რომელმაც მალე, მთელ ქალაქში უძლეველი გუნდის სახელი მოიხვეჭა. მეზობელი უბნის გუნდთან მორიგი გამარჯვების შემდეგ, გულშემატკივრებს გამოეყო მაღალი, სპორტული აღნაგობის კაცი, გაეცნო მათ, როგორც ფეხბურთის მწვრთნელი და ბიჭებს შესთავაზა ინტენსიური, სისტემატური წვრთნა მაშინდელ ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონზე, კონსტიტუციის ქ-ზე, სადაც შემდგომ დაარსდა საქვეყნოდ ცნობილი დიდოსტატების აღმზრდელი, 35-ე საფეხბურთო სკოლა. ბიჭები სიამოვნებით დათანხმდნენ ახლადმოვლენილ მწვრთნელს და ხალისით შეუდგნენ რეგულარულ წვრთნას.

ლენინის სახელობის სტადიონის დირექტორად იმ ხანად მუშაობდა რუბენ ხაბალაშვილი, შემდგომში ცნობილი სპორტული მოღვაწე, სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივის“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე. იგი დიდად უწყობდა ხელს მის სტადიონზე მოვარჯიშე ბიჭებს, ეხმარებოდა სხვადასხვა გუნდებთან შეხვედრების ორგანიზაციაში და სხვა. მან 13-14 წლის ბიჭებისაგან შემდგარ გუნდს სახელიც მოუძებნა და „სტადიონის მეგობრები“ („დრუზია სტადიონა“) შეარქვა, რომელსაც მაღალი, სპორტული აღნაგობის მწვრთნელი გვარად სოლტანი წვრთნიდა. სოლტანს ქართული კარგად არ ეხერხებოდა და ბიჭებმა ზედმეტსახელად „კაშავარა“ შეარქვეს, შეჯიბრებებზე გასვლითი თამაშების დროს ქვეყანაში გაჭირვებული მდგომარეობის გამო ბიჭებს სადილად ფხვნილებისაგან დამზადებულ ფაფას

# „...კაცი, რომელიც დაკარგა თბილისმა...“

აჭმევდნენ. ყურადღებიანი მწვრთნელი თავის მოწაფეებს აქცენტით ეკითხებოდა: „კაშა ვარგა?!“; ასე შეარქვეს თავის პირველ მწვრთნელ სოლტანს „კაშავარა“ – ბიჭებმა. ისე ზედმეტსახელები თითქმის ყველა ფეხბურთელს ერქვა. მაგალითად, მიშიკო მგალობლიშვილს ზედმეტსახელად „ბოზ მარუსას“ უძახდნენ – ასეთი შემთხვევის გამო გვიყვება მისი ძმა, ყოფილი ფეხბურთელი ოთარ მგალობლიშვილი: ...„მიშა კარგი ფეხბურთელი იყო და მას სხვადასხვა გუნდის მწვრთნელები ხშირად იწვევდნენ სათამაშოდ. მიშაც თანხმდებოდა მათ და რამდენიმე მატჩის ჩატარების შემდეგ ბრუნდებოდა თავის გუნდში. ერთხელ, გაბრაზებულმა თანაგუნდელებმა შეუტიეს მიშას და უთხრეს: „არ ყველა დაძახილზე „ბოზ მარუსასავით“ მიჰყვები სუყველასო“. სიბერემდე შერჩა მიშას ეს „კლიჩკა“.

ერთხელ, სტადიონის დირექტორმა რუბენ ხაბალაშვილმა, რომელიც წარმოშობით სტალინირიდან (ახლანდელი ცხინვალი) იყო, თავისი ბიჭები ადგილობრივ გუნდთან სათამაშოდ წაიყვანა სტალინირში. სტადიონზე გამოსულ თბილისელ ბიჭებს მაყურებელმა სტვენა აუტეხა; მიზეზი მათი მცირე ასაკი იყო, რადგან ადგილობრივი გუნდი 20-30 წლის მამაკაცებისაგან შედგებოდა; ასევე აღშფოთდნენ ისინიც, როდესაც მათ მოწინააღმდეგე გუნდში 13-14 წლის ბიჭები იხილეს. რუბენ ხაბალაშვილი საყვედურებით აავსეს: „ეს რა „პაცნები“ ჩამოგიყვანიათო“! როგორც იქნა, შედგა მატჩი. „პაცნებმა“ დიდი ანგარიშით მოუგეს „ბიძებს“ 7:2. სამი ბურთი მიშიკო მგალობლიშვილმა გაიტანა.

ამ პერიოდში, ეს იყო 1936 წელი, საფეხბურთო გუნდ „სტადიონის მეგობრებში“ თამაშობდნენ: (ზოგის გვარები ვერ დავადგინე, მაგრამ ზედმეტსახელებით მაინც გაიხსენა ამ გუნდის ერთ-ერთმა მოთამაშემ დავით ჟღენტმა).

1. მეკარე – „მუზა“, მუზაშვილი; 2. ცენტრალური მცველი – „ტარაკანა“ – ალბერტ ტარაიანცი (დაიღუპა სამამულო ომში); 3. „შურკა“ – გვარი უცნობია (ცენტრალური თავდამსხმელი); 4. ინსაიტი – „მიტუშა“ – მიშა ქაცარავა; 5. დამცველი – „პაპაშა“, ეროვნებით აისორი; 6. დამცველი – ვანო შუდრა (შემდგომში ცნობილი ფეხბურთელი, თამაშობდა თბილისის „დინამოში“ და „ტორპედოში“ (ს.პ.ა.); 7. მარჯვენა გარემარბი – შოთა თათარაშვილი, გუნდის კაპიტანი, შემდგომში იყო აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე; 8. მარცხენა გარემარბი – „ბოზ მარუსა“ – მიშა მგალობლიშვილი; 9. თავდასხმა – „სატანა“ – სერგო ავეტისოვი (შემდგომში თამაშობდა თავდამსხმელად მოსკოვის „სპარტაკში“); 10. თავდამსხმელი – „მალაკანა“ – ფედია, გვარი უცნობია; 11. ნახევარდაცვა – დავით ჟღენტი (1950-51 წლებში თამაშობდა თბილისის „დინამოში“, შემდეგ „ტორპედოში“); 12. დამცველი – „აისორა“ – ვანო, გვარი უცნობია. აღნიშნული გუნდიდან ბევრი ცნობილი ფეხბურთელი გახდა.

მიშა მგალობლიშვილი პროფესიით მშენებელი ინჟინერი იყო. დღე მუშაობდა. საღამოს მეგობრებთან ერთად – ქეიფობდა. მის საქმიანობაზე მეგობრები ხუმრობდნენ: ...„მიშას აგებულ სახლებს ლიტრიანი ყანწის ფორმა აქვს და ღვინის სუნი ასდისო...“ მიშა ბევრს, ერთი დარდიმანდი, უპრობლემო, მოქეიფე კაცი ეგონა. მიშას კი უამრავი თავსატეხი პრობლემა ჰქონდა გადასაწყვეტი, ბევრ რამეზე ტკიოდა გული, მაგრამ თავის დარდს არავის უზიარებდა, საზოგადოებაში მუდამ მომღიმარი, ხალასი ხმამაღალი სიცილით არავის უქმნიდა პრობლემებს, იყო უშუალო, მართალი ვაჟკაცი, ყველასაგან გამორჩეული პიროვნება, რომელიც არ ჰგავდა არავის და ალბათ არც განმეორდება.

მიშა მეგობრების მოყვარული და მოტრფიალე კაცი იყო. ლამაზი გარეგნობის ვაჟკაცი მოსწონდათ ქალებს. მიშა მათ წინაშე ძალზე მოკრძალებული და ოდნავ მორცხვიც იყო. ასეთი ფეთქებადი ვაჟკაცი ქალების მიმართ ძალზე მოკრძალებული ჩანდა. ვერ იტანდა უპატიოსნებას, ღალატს.

ოთარ ბახტაძის მონათხრობიდან: ...„ბიჭები, ერთ ცხელ ზაფხულის დღეს საქეიფოდ ფუნიკულიორზე ავედით. რესტორანში შესვლამდე ბილიკებით ვსეირნობდით. სკამებზე უამრავი შეყვარებული წყვილი იჯდა. ერთ-ერთ მოფარებულ ადგილზე შეყვარებულები ალერსით ნებივრობდნენ. ყველანი გავშეშდით, ის ქალბატონი ჩვენი საერთო მეგობრის მეუღლე აღმოჩნდა. ჩვენ თვალი ავარიდეთ და ის იყო უნდა გავცლოდით იმ დაწყევლილ ადგილს, რომ მიშამ დაიღრინა, ერთი ნახტომით გაჩნდა „შეყვარებულების“ წინ, კისერში ჩაავლო ძლიერი ხელი „შეყვარებულ რომეოს“ და წიწილასავით აიტაცა... „ახლავე გამეცალე, თორემ დაგაკლავ სკამზეო“: „სიძე“ კინწისკვრით გააგდო, რომელიც კისრისტეხით დაეშვა ვიწრო ბილიკებით – თბილისისაკენ. შეშინებული ქალი კანკალით შეჰყურებდა მიშას, მიშამ ააყენა მეგობრის ცოლი სკამიდან და სილა გააწნა სახეში. ...„ფუი, შენს ქალობას, არა გრცხვენია, რა ვაჟკაცს ღალატობ!“... გამოვედით ტყიდან, იქვე ტაქსი იდგა, ჩასვა ის ქალბატონი მანქანაში, გადაუხადა ფული და სახლში გაუშვა. მიშას ცხოვრებაში, ალბათ, ერთი დღე იყო ასეთი, რომ ქეიფი არ გამოგვივიდა, ყველას კრიჭა შეგვეკრა და ღვინოს ჩვენ-ჩვენ ფიქრებში ჩართული უხმოდ ვწრუპავდით“...

მიშას ერთადერთი შვილი გია მგალობლიშვილი ნიჭიერი არქიტექტორია, კარგი ვაჟკაცი, ნაღდი ქალაქელი. გიას ვაჟი იყო რატი, რომელიც მუხანათურად გამოასალმეს წუთისოფელს. გია, რომელიც თვითონაც ახალგაზრდაა, უბედურებამ ერთ დღეში გაათეთრა, ასეა მისი მეუღლეც, მათი ჭრილობა არასდროს გამრთელდება, ბოროტი ხელით მიყენებული იარა სიცოცხლის მანძილზე შეუხორცებელი და მტკივნეულია. რატი 1994 წლის იანვარში ოფიციალური მიწვევით აღმოჩნდა ამერიკაში, ნიაგარის ჩანჩქერის მახლობლად მდებარე პატარა ქალაქ ბუფალოში. აქ ეს 17 წლის ბიჭი აკვირდებოდა და ისრუტავდა ყოველივეს, აანალიზებდა და ადარებდა თავის ქვეყანას, მის ყოფიერებას, ნოსტალგია თანდათანობით ეძალებოდა მას. მის „ამერიკულ დღიურებში“ ნათლად ჩანს ახალგაზრდა ბიჭის მახვილი თვალი, მისი ბავშვური ფილოსოფიით გაანალიზებული უდიდესი ქვეყნის დადებითი თუ უარყოფითი მხარეები, აქ იგრძნობა მისი უდიდესი პატრიოტიზმი და სიყვარული თავისი სამშობლოს – საქართველოსი, მისი წინაპრების გენების სინთეზია თავმოყრილი ამ პატარა ბიჭში. მკითხველს ვთავაზობ ამონაწერებს აღნიშნული დღიურებიდან, სადაც თვალნათლივ ჩანს უნიჭიერესი ახალგაზრდის მდიდარი პატრიოტული სული.

...„ძალიან რომ მოინდომო, ამ ქვეყანაში ვერ დაიცავ ათ საღვთო ცნებას, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ისინი ეწინააღმდეგება აშშ მთავრობის მოგონილ კანონებს. თვით კანონი უწყობს ხელს ასეთ არასწორ და ეშმაკისეულ ცხოვრებას. ამ ადამიანებს კი დიდი შიში და რიდი აქვთ თავისი სამთავრობო კანონებისა“...

...„წარმოიდგინეთ, რა საშინელებაა, რომ ადამიანებს ვერაფერზე დალაპარაკები ფულისა და ჭამის გარდა. როცა სერიოზულ თემაზე იწყებ ლაპარაკს, გაშტერებული, შუშის თვალებით გიყურებენ ან ეცინებათ და შეიძლება გიჟად ჩაგთვალონ.

ამდენი ხანია აქ ვარ, ამდენი ადამიანი გავიცანი და ამდენთან მაქვს ურთიერთობა, მაგრამ მაინც მარტო ვარ ჩემ თავთან. ჩემთვის აქაური სამყარო მრავალი ლამაზი ფერით შეღებილი და გასაოცარი იერის დიდი მირაჟია, რომელიც ხელის შეხებისას იფანტება და ქრება, როგორც ნისლი ქარის დროს.

ამას იმიტომ ვწერ, რომ შეიძლება ოდესმე გადამავიწყდეს აქ მიღებული შთაბეჭდილება და შევიცვალო ამერიკაზე აზრი, რომელიც ახლა გამაჩნია...“

ამერიკული ყოფის ასეთი ღრმა, ფილოსოფიური შეფასება, არა თუ 17 წლის ახალგაზრდას, არამედ ხანდაზმულ, ცხოვრებისეული გამოცდილებით დახუნძლულ ადამიანსაც გაუჭირდებოდა.

აი, 13 წლის რატი მგალობლიშვილის მიერ 1989 წლის 9 აპრილს დაწერილი ლექსი.

9 აპრილი
გაწითლდა ცა,
გაწითლდა მიწა,
დაუდგა ურჩხულს
თავისი ხვედრი.
ბასრი კბილები
ჩაასო ქალებს,
მიუსვ-მოუსვა
ბრჭყალები კაცებს.
დასისხლიანდა რუსთველის გული,
ნიჩბები ბზინავს ქალების თავთან,
რიგში ჩამდგარან მხდალი
მკვლელები –
ბევრნი არიან იმედად მათდა.
ის დაავიწყდა ტვლიპიან ურჩხულს,
რომ განიწირა შავი საქმისთვის.
ქართველი ლომი კიდევ შობს ბოკვერს,
ტყუილი კი არა, ნამდვილ საქმისთვის.

რა ბედის ყოფილა ეს ნიჭიერი ყმაწვილი, რა ბედის ყოფილა მისი ბაბუა – მიშა მგალობლიშვილი, ამ ტრაგედიის მომსწრე. ვეღარ გაუძლო მოსიყვარულე ბაბუას გულმა, გული, რომელიც ყველა თავისი მოყვასის სიყვარულს იტევდა, და დააკლდა ქალაქს კაცი, რომელსაც ყველა უყვარდა – ყველას უყვარდა იგი. 1999 წლის 3 აპრილს მიშა 77 წლის გახდებოდა.

ჯემალ კვანტალიანი



მიშა მგალობლიშვილი



საფეხბურთო გუნდი „სტადიონის მეგობრები“.
მარცხნიდან: რუბენ ხაბალაშვილი, სოლტანი „კაშავარა“, ალბერტ ტარაიანცი „ტარაკანა“, „შურიკა“ მიტო ქაცარავა, „პაპაშა“, აისორა, „მუზა“ მუზაშვილი, შოთა თათარაშვილი – კაპიტანი, ივანე შუდრა, მიშა მგალობლიშვილი „ბოზ მარუსა“, ავეტისოვი სერგო „სატანა“, დავით ჟღენტი, ვანო – „აისორა“.

# ბორის პაიჭაძე — „ფეხბურთის კარუზო“

(გაგრძელება დასაწყისი №4)

გადიოდა წლები, ფოთელი ბიჭები, ადგილობრივი გუნდების გარდა გასვლით თამაშებსაც ატარებდნენ სუფსაში, ცხაკაიაში, აბაშაში. 16 წლის ბორისი უკვე ფოთის ნაკრები გუნდის სახელს იცავდა. ყველა ფეხბურთელს ზედმეტი სახელები ჰქონდათ („კლიჩკები“) შერქმეული და აი, ბორისსაც შეარქვეს ზედმეტი სახელი „კვიჭიჭა“. აი, როგორ ყვებოდა ბორისი ამის შესახებ: „მახარაძიდან თამაშის შემდეგ ფოთში ვბრუნდებოდით. მატარებელში მერხქვეშ შევსრიალდი და გურული გლეხის მიერ შედგმულ კალათში მხალი აღმოვაჩინე, პირგამშრალს ძალიან მომეწონა მხალი და ჭამა დავიწყე. ჭამით გართულმა სიფრთხილე დავივიწყე და უფრო მოხერხებულად რომ მოვწყობილიყავი, ფეხი გავშალე. ეს ჩემმა თანაგუნდელმა ეფრემ ლაითაძემ შეამჩნია და ფეხში ხელი წამავლო: რა გინდა, ბიჭო, რას ეძებ მანდო?! მე თავი გამოვყავი მერხიდან და მთელი სერიოზულობით ვუთხარი: მაცალე, კაცო, კვიჭიჭა მხალს ვჭამ-მეთქი. ამ საბედისწერო შემთხვევის შემდეგ „კვიჭიჭა“ შემარქვეს, რაც წლების განმავლობაში შემომრჩა“.

ბორისმა 1933 წელს ივლისში საზღვაო ტექნიკუმი დაამთავრა, მეზღვაურ-მოტორისტობაზე ოცნებობდა. იგი მოტორისტად მოეწყო გემ „ტენდრა“-ზე, რომელიც ბათუმში, ნოვოროსიისკში, ოდესასა და ნიკოლაევში დაცურავდა. ბორისს ფეხბურთისთვის აღარ ეცალა. თითქმის ერთი წელი გავიდა, რაც ბურთისათვის ფეხი არ დაუკარებია. თბილისში, ლენინის სახელობის სტადიონზე შედგა ბათუმისა და ფოთის ნაკრები გუნდების შეხვედრა-გადათამაშება. ფოთელებმა უთამაშებელი პაიჭაძე მოტყუებით ჩამოიყვანეს თბილისში. ბორისმა, რომელიც სრულიად უვარჯიშებელი იყო, თანაგუნდელების თხოვნით მაინც ითამაშა და ორი გოლი გაიტანა. თამაში ფოთელებმა მოიგეს 2:1.



1966 წელი,, ინგლისი, ქალაქი სანდერლენდი. მარცხნიდან მარჯვნივ სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ფეხბურთში დ. ცომაია, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ი. ხუხიშვილი, ბ. პაიჭაძე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ნ. რამიშვილი, გაზეთ „ლელოს“ რედაქტორი მ. კაკაბაძე და საკავშირო კატეგორიის მსაჯი ვ. რამიშვილი.

„თამაშის შემდეგ ადგილობრივი ბიჭების ალყაში მოვექეცი – იგონებდა ბორისი, მათ შორის იყო კაკო ყალიჩავა, რომელიც ამიერკავკასიის რკინიგზის საინჟინრო ინსტიტუტში სწავლობდა და მისი საფეხბურთო გუნდის კაპიტანიც იყო. 1935 წელს ოცი წლის ბორისი ინსტიტუტის მეორე გუნდიდან პირველში გადაიყვანეს და თანაც პირველი კურსის სტუდენტი გადა. ინსტიტუტის ფეხბურთელთა გუნდი ერთ-ერთი უძლიერესი იყო საქართველოში. მის ღირსებას იცავდნენ: მეკარე იურა კასრაძე (შემდგომში ცნობილი არქიტექტორი), გვაჩი ჯორბენაძე, ჟორა ჭუმბურიძე, მიშა მინაევი, ვალია კოძისი, გერმან კირილოვი, მიშა ბოლოტინი, სერგო სიხარულიძე, კაკო ყალიჩავა, ვახტანგ („დუკა“) რამიშვილი. პაიჭაძე ცენტრალურ თავდამსხმელად მიიღეს. „სხვა შესაშურ ღირსებებთან ერთად, მთავარი, რამაც პაიჭაძე ოსტატობის მწვერვალზე აიყვანა, ყოველდღიური, დაუღალავი წვრთნის ნაყოფია. იმ უპირატესობის მიუხედავად, რომელსაც ბორისი სხვებთან შედარებით ფლობდა, იგი გაცილებით მეტს, ზოგჯერ ორმაგ დატვირთვასაც იღებდა და მალე მეკარეთა რისხვად იქცა“. – რ. ქორქია.

გიგანტური ნაბიჯებით მიიწევდა დიდების მწვერვალებისაკენ ბორის პაიჭაძე. 1936 წელს უკვე თბილისში „დინამოს“ ცენტრალური თავდამსხმელი საკავშირო საშემოდგომო პირველობაზე იღებს მონაწილეობას. გუნდმა, რომელიც ასეთი შემადგენლობით გამოდიოდა: მეკარე – ალექსანდრე დოროხოვი, შოთა შავგულიძე (კაპიტანი), ვლადიმერ (ბუკა) ბერძენიშვილი, ედვარდ ნიკოლაიშვილი, გრიშა გაგუა, ნიკოლოზ ანიკინი, ალექსანდრე პანინი, მიხეილ ბერძენიშვილი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ ასლამაზოვი, ვლადიმერ ბერძენიშვილი, ნიკოლოზ სომოვი, მესამე ადგილი დაიკავა.

საინტერესო მოგონებად დარჩა ფეხბურთის გულშემატკივრებს საბჭოთა ფეხბურთის სახელგანთქმული ოსტატის, შეუვალი კედლის, მრისხანე დამცველის, გამოცდილი ანდრეი სტაროსტინისა და 21 წლის უცნობი ახალგაზრდა ფორვარდის, ბორის პაიჭაძის პირველი შეხვედრა მოედანზე. „სტაროსტინს მეტად თავისუფლად უჭირავს თავი, – იგონებდა ბორისი, მოძრაობაც დინჯი და მოზომილი აქვს, მზერა, რომელიც იძულებულია ზოგჯერ შემავლოს, იმის დამადასტურებელია, რომ ჩემი მოედანზე ყოფნა მისთვის დიდს არაფერს ნიშნავს. არ გეგონოთ, რომ ეს წინასწარ, ჩემი შეურაცხყოფის მიზნით მიღებული გადაწყვეტილება იყო. ასეთ რამეს ანდრეისთანა დიდოსტატი არასოდეს იკადრებდა. ეს უბრალოდ წლებით გამომუშავებული საფეხბურთო უპატივცემულობა გახლდათ, რომელსაც ჩემი მსგავსი პერსონები იმსახურებდნენ მის თვალში.

ასეთი დამოკიდებულება თავმოყვარე ახალგაზრდა კაცის ფსიქიკაზე საკმაოდ მძიმედ მოქმედებს, მაგრამ ამჯერად ნერვიული დაძაბულობა იმდენად ძლიერი იყო, ხოლო დავსხლტომოდი მეტოქეს იმდენად დიდი, რომ გულის მოსასვლელადაც კი არ მეცალა. ამისთანა დროს ყველაზე მორგებული პასუხი მოწინააღმდეგის საქმით დასჯაა. მაგრამ ჯერჯერობით არაფერი გამომდის, თამაში დასასრულს უახლოვდება, ანგარიში კი მასპინძლებს მიჰყავთ – 3:1, უკანასკნელ ძალებს ვბაძავთ მთელი გუნდი გადავდივართ შეტევაზე. მივიღე გადაცემა, ჩემს წინ სტაროსტინი აღიმართა. მაგრამ გადაწყვეტილება ურყევი და მტკიცეა – კარისკენ უმოკლესი გზით უნდა დავიძრა. ჯიქურ მივიწევ მცველისაკენ, ამას, ეტყობა, არ მოელოდა, დამიპირა ბურთის წართმევა, მაგრამ ამაოდ, მეკარის პირისპირ გასულმა ნანატრი გოლი გავიტანე 3:2.

თვალებით ანდრეის ვეძებ, მაინტერესებს მისი რეაქცია, მან თითქოს ამოიკითხა ეს გამოწვევა ჩემს თვალებში, გაოცებულმა კბილებში გამოსცრა: – „ეშმაკმა დალახვროს, დამიხედეთ ამ ლაწირაკსო!“

დამიჯერეთ, უფრო სასიამოვნო ქათინაური შემდგომში არასოდეს მსმენია“, – იგონებდა ბორისი.

ბოლო წუთებზე მ. ბერძენიშვილმა მეკარე რიჟოვის კარში პენალტით მესამე გოლი გაიტანა. ამ დღეს გამოჩნდა ბ. პაიჭაძის დიდი ტალანტის გაელვება მოსკოვში.

ანდრეი სტაროსტინი იხსენებს: „არის სახელები, რომელთა გარეშეც წარმოუდგენელია საბჭოთა ფეხბურთის კორიფეთა სია. ასეთი სახელების რიცხვს განეკუთვნება ბორის პაიჭაძე. ქართულ ფეხბურთს უკვე სერიოზული განაცხადი ჰქონდა საკავშირო სარბიელზე, როცა 30-იან წლებში მის ჰორიზონტზე, ახალი ნათელი ვარსკვლავი აკიაფდა, აელვარდა შესანიშნავი ფეხბურთელის, ყველა ღირსებით უხვად მომადლებული თბილისის „დინამოს“ ახალგაზრდა ცენტრალური თავდამსხმელის ბორის პაიჭაძის სახელი... მეტად სწრაფი და მოძრავი ბორის პაიჭაძე საბჭოთა ფეხბურთის დრიბლინგის ყველა დროის ოსტატთა შორის ერთ-ერთი საუკეთესო იყო... მთელი მატჩის განმავლობაში დაძაბულ მდგომარეობაში ჰყავდა „მოწინააღმდეგის“ დაცვა. ეს ყოველივე საკუთარი გამოცდილებით ვიცი. მრავალი წლის მანძილზე ვთამაშობდი ბორის პაიჭაძის წინააღმდეგ, როგორც იტყვიან, „პირისპირ“, იგი თავდასხმის ცენტრი იყო, მე – დაცვისა“.

რუსმა პოეტმა ალექსანდრე ბეზიმენსკიმ პაიჭაძეს მიუძღვნა ასეთი სტრიქონები:

„აჰა, მიჰქრის პაიჭაძე
და მის ფეხქვეშ მიწა ფეთქავს!
ვით ამტყდარი ქარაშოტი,
ელვასავით სივრცეს კვეთავს,
ბურთი მიაქვს ისე კოხტად,
მოგაგონებთ ქართულ როკვას“.



ბორის პაიჭაძე

აი, კიდევ ერთი ეპიზოდი, ანდრეი სტაროსტინის მოგონებიდან: „ეს მოხდა თბილისში, 30-იანი წლების მიჯნაზე. საბჭოთა კავშირის პირველობაზე ერთმანეთს ხვდებოდნენ მოსკოვის „სპარტაკი“ და თბილისის „დინამო“. დინამოელთა კარზე ჩვენი იერიში ჩაიშალა. მასპინძლებმა თავბრუდამხვევი შეტევა წამოიწყეს. პაიჭაძემ უცებ გადაინაცვლა მარჯვენა ფრთაზე და ბურთი მიიღო. ჩვენი კარისათვის სახიფათო მდგომარეობა შეიქმნა. მე მბოჭავს გაიოზ ჯეჯელავა, რომელმაც ცენტრში პაიჭაძის ადგილზე გადმოინაცვლა და მის გასწვრივ ცენტრალურ ზონაში მიჰქრის კარისკენ. ასეთ ვითარებაში პაიჭაძისაკენ წასვლა უაზრობაა. იგი ბურთს ჯეჯელავასკენ გადმოაწოდებს და გაიოზი რისხვად აღმოჩნდება მეკარის პირისპირ... პაიჭაძეს ზუსტად ჰქონდა გათვლილი ჩემი მოქმედების გეგმა, მან მშვენივრად იცოდა, რომ მომენტის ბედს გადაწყვეტდა სანტიმეტრები – სივრცეში და წამის მეათედები დროში.

ბორისმა ბურთი კრიტიკულ ზღვარამდე მიიტანა და მაიძულა მისკენ წავსულიყავი. შემდეგ უკვე იცოდა, რა უნდა გაეკეთებინა. როგორც კი ჯეჯელავას მეურვეობაზე ხელი ავიღე, მაშინვე ბურთი მიაწოდა ისეთი გამჭოლი დარტყმით და კარიდან ისეთი დაშორებით, რომ ჩვენი მეკარე ჟმელკოვი ვერ მისწვდენოდა. ბურთის ჩასაჭრელად, რომელიც უეჭველ გოლს გვიქადდა, მთელი ძალით მისკენ გადავხტი და მოუგერიებელი ბურთი დავარტყი საკუთარ კარში.

უზუსტეს და უფაქიზეს ნიუანსებზე გათამაშდა ეს კომბინაცია. დროის, სივრცისა და მოძრაობის სულ უმცირესი შუალედების შეგრძნება მაღალი კლასის ფეხბურთელის თვისებაა. სწორედ ეს თვისება დაეხმარა პაიჭაძეს ყოველგვარი შეცდომის გარეშე თავისი გუნდის სასარგებლოდ გამოეყენებინა ეს დაძაბული მომენტი.

როცა შესვენებაზე ერთი ჩვენი ფეხბურთელი შემეკითხა: როგორ შეაგდე ბურთი ჩვენსავე კარშიო, ჩემს მაგივრად მწვრთნელმა უპასუხა: – ბურთი პაიჭაძემ შეაგდო!

პასუხი სავსებით სწორი იყო. ბორისმა მეც და ჟმელკოვიც გამოუვალ მდგომარეობაში ჩაგვაყენა, ზუსტად ზედმიწევნით გამოიყენა ჩვენი პოზიციის სისუსტე“.



1972 წელი. თბილისი, საშვიდნოემბრო აღლუმი. მარცხნიდან მარჯვნივ მხოფლიოს სახელმოხვეჭილი ფალავნები: ზ. ბერიაშვილი, გ. საღარაძე, ვ. ბალავაძე, ბ. პაიჭაძე, ლ. თედიაშვილი.

ასეთი ეპიზოდების მოყვანა უამრავი შეიძლება. აკადემიკოს ნიკო კეცხოველის მოგონებიდან: „1936 წელი იყო, ჩვენი „დინამო“ ეთამაშებოდა კიევის „დინამოს“. შემდეგ წერს: „ბურთი წინ მიჰქროდა და მას მიჰყვებოდა ეს უცნობი ყმაწვილი. აი, მან გვერდი აუარა ერთ მოწინააღმდეგეს, მეორეს, მესამეს და უცბად ორი სხვა გადაელობა წინ, მათ შორის გააძვრინა ბურთი, თვითონაც ამოღებული ხანჯალივით გაიელვა და მცველის პირისპირ აღმოჩნდა, შებრუნდა თავის მოედნისაკენ, ბურთი წინ გაიგდო... თითქოს უკან წამოვიდა და შემდეგ ველარც მოვკარი თვალი, როგორ აღმოჩნდა მეკარის პირისპირ.

სტადიონზე ტაშმა იგრიალა. ეს გამხდარი ბიჭი კი დინჯი ნაბიჯით მიდიოდა მოედანზე. მარტო ის მოძრაობდა, რადგან იყო მომენტი, როდესაც ყველა დანარჩენი მოთამაშე – „ჩვენიც“ და „მათიც“ – წუთით გაშეშდა და ამ ერთ ადგილზე გამარჯვებულთა შორის მიდიოდა იგი თავისი ადგილისაკენ, ვითომც არაფერი მომხდარიყოს“. როგორ არა ჰგავანან დღეს, მთელს დედამიწაზე მომქმედი ფეხბურთელები ბორის პაიჭაძეს, რომლებიც ბურთის გატანის შემდეგ მანჭვაგრეხვით, ერთმანეთის მიწაზე დაგდებით, ზეწოლით, ხვევნა-ლოშნით რომ გამოხატავენ გატანილი ბურთისაგან გამოწვეულ სიხარულს. იგი რაინდი იყო.

კვლავ ნიკო კეცხოველს მოვუსმინოთ: „ამ ულამაზესმა დრიბლინგმა, ახალგაზრდის მოძრაობამ და წინსწრაფვამ, რომელშიც შეზავებული იყო ორი მოწინააღმდეგის თვისება, სიდინჯე და სიმკვირცხლე, გული და ჭკუა – გამიტაცა და დამატყვევა“... „ბორისისთანა სტილის და მანერის მოთამაშე არც ერთ გუნდში, არც საბჭოთა კავშირში, რაც უცხოეთში არ მინახავს – თავაზიანი, ფრთხილი, სწრაფი, საზრიანი, შედეგიანი. მოთამაშეს სხვა რომ წააქცევდა, ბორისი თუ ახლოს იყო, ზოგჯერ ბურთს გასწირავდა, მაგრამ წაქცეულს ააყენებდა, მხარზე ხელს დაჰკრავდა, გაუღიმებდა და... ბურთი უკვე ფეხზეება და მიჰქროდა მოწინააღმდეგის კარისკენ... მარცხნივ და მარჯვნივ ზვერავდა, ჩვენები მომყვებიან თუ არაო“...



თბილისის „დინამოს“ სტადიონი. ბ. პაიჭაძე უტევს ცდკას კარს, რომელსაც ვ. ნიკანოროვი იცავს.

ასე მიიღო ბორისი ფეხბურთის ყველაზე მკაცრმა და ყველაზე ლმობიერმა შემფასებელმა – გულშემატკივარმა. ყოველ ხელოვანს თავისი თაყვანისმცემელი ჰყავს. ასეთი შემფასებლები ბორისსაც აღმოაჩნდნენ. მათ ბორისის თამაშში ამოიკითხეს, მანამდე არნახული, რაღაც ახალი, ის, რაზედაც ასე დიდხანს და დაბეჯითებით იმტვრევდნენ თავს თაობები, რათა ერთი ნაბიჯი გადაედგათ წინ.

გრიგორი ფედოტოვის სახელი ყველა გულშემატკივრისთვის, ძველი და ახალი თაობებისთვის ცნობილია, არსებობს მისი სახელობის გოლეადორთა კლუბი. იგი ერთ-ერთი საუკეთესო ცენტრალური თავდამსხმელი იყო მთელს კავშირში. გულშემატკივართა შორის იყო გაუთავებელი დავა, ვინ იყო საბჭოთა კავშირში №1 ცენტრალური თავდამსხმელი? ფედოტოვი, ბობროვი, პონომარიოვი თუ პაიჭაძე? როდესაც ფედოტოვს შეეკითხნენ პაიჭაძეზე, როგორც ფეხბურთელზე, მან უპასუხა: – ბორისს რა ჩემი რეკომენდაცია და დახასიათება სჭირდება! ასეთები არ მეორდებია. ბორისი ის საფეხბურთო მწვერვალია, რომელსაც ხელშეუხებლობა და უკვდავება უწერია“...

ცნობილი ქართველი მწვრთნელი ვახტანგ (დუკა) რამიშვილი პაიჭაძეზე წერდა: „იგი არ საჭიროებს დიდ ადგილს, მოედნის ყველაზე უმნიშვნელო მონაკვეთზეც კი ჩინებული, ცრუ მოძრაობის წყალობით, რომელიც მოწინააღმდეგეში ყალბ რეაქციას იწვევს, შეუძლია მოატყუოს რამდენიმე მოწინააღმდეგე“.

საბჭოთა ფეხბურთის ცნობილი თეორეტიკოსი, ბრწყინვალე ჟურნალისტი მარტინ მერჟანოვი წერდა: „პაიჭაძის მთელი ღირსება სწორედ ის არის, რომ მას სხვისეული, ნასესხები, არაფერი ჰქონდა. იგი ბუნების ისეთივე იშვიათობა გახლდათ, როგორიც თვითნაბადი ოქროა“.

საბჭოთა კავშირისა და მოსკოვის „სპარტაკის“ შესანიშნავი მეკარე ანატოლი აკიმოვი იხსენებდა: „მაშინ ის ერთადერთი ბურთი მატჩის ბოლო წუთებზე გაშვებულმა გამიტანა, – მაგრამ გოლზე უფრო გულდასაწყვეტი ბორიასთან წაგებული დუელი იყო.

– არაფერი მესმის, ბორისს ხომ იმ მატჩში ბურთი არ გაუტანია?

– მაგას რა მნიშვნელობა აქვს? თქვენ რა გგონიათ, დუელის წაგება მარტო გოლის გაშვებას ნიშნავს? თქვენ რა გგონიათ, დუელის წაგება მარტო გოლის გაშვებას ნიშნავს? იმ ეპიზოდში ბორისმა თავის მხრივ ყველაფერი გააკეთა და თუ ჩემი კარი ხიფათს გადაურჩა, ეს უკვე მისი პარტნიორის სომოვის ბრალი იყო.

– მაინც რა მოხდა ასეთი?

– ერთი შეხედვით დიდი არაფერი. ბორისი გაექცა მცველებს და მარჯვენა ფრთიდან ჩემსკენ დაიძრა. გადავწყვიტე დამესწრო მეტოქისთვის და თვითონ გადაველი იერიშზე. როცა მისკენ ნახტომი გავაკეთე, მაშინღა მივხვდი, რა შეცდომაც დავუშვი. ბორისმა უფრო ადრე ამოიცნო ჩემი ჩანაფიქრი და თვითონ წამომაგო ანკესზე, ჯერ ნახტომი მაცალა და მერე ბურთიანად გვერდზე გამეცალა. დანარჩენი კი, რომ იტყვიან, ტექნიკის საქმე იყო, მაგრამ სომოვმა იჩქარა და ბურთი ცარიელ კარს ააცდინა... მე ბორისის წინააღმდეგ მისი ძალების გაფურჩქვნის პერიოდში ვთამაშობდი, როგორც მეკარე, განსაკუთრებით ვგრძნობდი თბილისელთა თავდასხმის ლიდერის მრისხანე ძალას და, უნდა გამოგიტყდეთ, არა ერთი, მწარე წუთი განვგაცდევინა ამ კაცმა.

მეკარეები თამაშის დროს ვინ მოთვლის მერამდენედ ვაფრთხილებდით აზარტში შესულ მცველებს – რას შვრები! სად მიდიხარ! ბორისს უყურე! – მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, ეს ყოველთვის როდი ხერხდებოდა... მაღალი საშემსრულებლო კლასი თბილისელისა, რომლის ტაქტიკური ჩანაფიქრის ამოცნობა არც ისე ადვილი იყო, ხშირად აქარწყლებდა მცველისა და მეკარის ცდას, ეხსნათ სახიფათო მდგომარეობა, აიძულებდა მათ სიმწრით გამოეტანათ ბურთი ბადიდან... ჩვენ მეკარეები მთელი თამაშის მანძილზე დადარაჯებულნი ვიყავით, როცა მოედანზე ბორის პაიჭაძე გამოდიოდა, მაგრამ რაოდენ დიდ სიამოვნებას გვანიჭებდა, როცა შესაძლებლობა გვეძლეოდა გვეხსნა საკუთარი კარი ბორისის მიერ გამოგზავნილი ზუსტი და ძლიერი დარტყმისაგან“.

თბილისელთა კაპიტანი სამაგალითო სპორტსმენი იყო. ასეთ ამბავს ჰყვებიან, რომ ლენინგრადის „დინამოსთან“ მატჩის დროს ბორისთან ორთაბრძოლაში მეკარე ნაბუტოვს ნახტომი ვერ მოუზომია და თავით ძელს შესკდომია. ბორის პაიჭაძეს ბურთისთვის თავი მიუნებებია და მეკარეს მიშველებია – „ჩინებული ეპიზოდია! აი, ეს ბორისია“? – თვალები აბრწყინებია ამის გამგონე აკიმოვს.

პაიჭაძე სიცოცხლეშივე იქცა ლეგენდად. მისი შემოქმედების ზენიტი 1946-47 წლები იყო. ამ პერიოდში ხშირად გაიგონებდით ფეხბურთის პროგრამების გამყიდველი ბიჭებისაგან: იყიდეთ პროგრამა, ერთმანეთს ხვდებიან ხომიჩი – „ვეფხვი“ (ინგლისში შეარქვეს შესანიშნავი თამაშისათვის) და „ფეხბურთის კარუზო“ – ბორის პაიჭაძე. თბილისელებმა ამ მატჩში 3:2-ით გაიმარჯვეს მოსკოვის „დინამოელებთან“ და პირველი გოლი ხომიჩის („ვეფხვის“) კარში პაიჭაძემ გაიტანა. – „ბურთი თამაშში სტუმრების თავდამსხმელის კ. ბესკოვს შეჰყავს, მაგრამ მასპინძლები იქვე ეუფლებიან მას და უკვე პაიჭაძე მიიწევს მარცხენა ფრთიდან მოსკოველთა კარისაკენ. აი, მოატყუა ერთი მოთამაშე, მეორე და გავიდა პირით ხაზზე.

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

# მაისის ღირსშესანიშნავი დღეები

6 მაისი – წმინდა გიორგის ხსენების დღეა.

„ტყვეთა განმათავისუფლებელი და გლახაკთა ხელის ამპყრობელო, სნეულთა მკურნალო, მეფეთა უძლეველო წინამბრძოლო, დიდო მოწამეო გიორგი, ევედრე ღმერთსა, შეწყალებად სულთა ჩვენთათვის. ამინ!

14 მაისი – წმინდა კეთილმსახური მეფის, ქართველ ბაგრატიონთა შორის გამორჩეული გვირგვინოსნის, „მზეთა მზედ და დედოფალთა დედოფლად, შარავანდთა შორის უმეტეს ალმობრწყინებულად“ წოდებული თამარის ხსენების დღე.

– ...შენგან ქალწულო,
რომელსა შენთვის
დავით როკვიდა,
ძისა ღმრთისა
ძედ შენდა ყოფად,
მე, თამარ, მიწა შენი
და მიერივე,
ცხებულობასა ღირსმყავ
და თვისობასა.
ედემს, ღადირთად,
სამხრით და ჩრდილოეთით.
თამარ მეფე (XII-XIII სს).

20 მაისი – ამაღლება

„ამაღლდი დიდებით, ქრისტე ღმერთო ჩვენო, და მხიარულ ჰყვენ მოწაფენი აღთქმითა მით სულისა წმიდისათა, განამტკიცენ რა იგინი კურთხევითა მით, რამეთუ შენ ხარ ძე ღმრთისა, მხსნელი სოფლისა“

ტროპარი

22 მაისი – ნიკოლოზობა – წმ. ნიკოლოზის ტროპარი.

„კანონად სარწმუნოებისა და ხატად სიმშვიდისა, და მოძღვრად მარხვისა გყო შენ ქრისტემან სამწყსოსა შენისა ჭეშმარიტებით; ამისთვისაც მოიგე სიმდაბლითა სიმაღლე და სიგლახაკითა სიმდიდრე. წმიდაო დიდო მღვდელმთავარო ნიკოლოზ, ევედრე უფალსა ჩვენთვის. ამინ!

26 მაისი – საქართველოს დამოუკიდებლობის დღე.

აცხოვნე უფალო, ერი შენი და აკურთხე სამკვიდრებელი შენი; ძლევა ჯვარითა ბარბაროსთა ზედა ღვთივდაცულისა ერა ჩვენსა მონიჭე და საფარველსა ქუეშე დაიცევ, რაითა ვიტყოდეთ – უფალო, დიდება შენდა.

ამინ!

31 მაისი – დიდი ქართველი მოღვაწის და მწიგნობრის, გიორგი მთაწმინდელის ხსენების დღე.

## ჩვენო გაიოზ



მაისში სრულდება წელიწადი, რაც კიდევ ერთი, ღირსეული თბილისელი, ძირძველი პლეხანოველი, გაიოზ სამაგლიშვილი მიიბარა თბილისის მიწამ. კეთილშობილი ადამიანი დააკლდა ოჯახს, მეგობრებს. როგორ დაგვაკლდი, როგორ გვიჭირს უშენობა, რამდენ რამეს უკეთებდი უსიტყვოდ, უპრეტენზიოდ შენს ახლობლებს, მეგობრებს და ყველას.

დაიბადა 1931 წლის 22 აგვისტოს. გაიოზი გაიზარდა ყოფილ კამოს ქუჩაზე. დაამთავრა ვაჟთა მე-11 საშუალო სკოლა, შემდეგ პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი. 1957 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა ქალაქის კეთილმოწყობის სამმართველოს სისტემაში სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობებზე.

წელი სრულდება და მიყენებული ტკივილი არ ცხრება. თავს ვიმშვიდებთ რწმენით, რომ შენი უხინჯო, წმინდა კაცური ცხოვრება მარადიულ სამკვიდრო სასუფეველშია.

მეგობრები

## „დორჩარი“ – ანუ ამბავი სოსოს პალტოსი...

ომისშემდგომი პერიოდი იყო. სოსოს კაი დიდიხნის პალტო ეცვა, რომელსაც ოთხი ღილი წინ ეკერა, ოთხი კიდევ ზურგზე. ამიტომაც „დორჩარს“ ვეძახდით. სოსოს თავი მოაბეზრა ამ პალტომ, გამოცვლა უნდოდა, მაგრამ ან სად უნდა ეყიდა, ანდა რითი! ერთხელაც პლეხანოვზე, კინო „კომკავშირელის“ გვერდით დიდი მაღაზია რომ იყო, უზარმაზარი რიგი გაიჭიმა. თურმე პალტოები იყიდებოდა. სოსო მიდგა-მოდგა და რაღაც მანქანებით ფული იშოვა. მაგრამ, იმოდენა რიგში შეღწევა არ გინდოდა? აბა, რის პლეხანოველები ვიქნებოდით, ურიგოდ რომ არ შევსულიყავით. სოსო, რა თქმა უნდა, მთავარი მოქმედი პირი, მე და ნოდარ ჩინჩალაძე (ჩინჩალა) შევძვერით უნივერმაღში და სანუკვარი პალტო სოსოს მოვაზომეთ. ყველანი კმაყოფილები წამოვედით. „დორჩარი“ გამყიდველმა ქაღალდში გაუხვია და სოსოსთან შინ მივედით.

მან ახალი პალტოთი სარკის წინ ტრიალი დაიწყო. ეტყობოდა მოსწონდა. – ჰა, როგორა მაქვსო? – ერთხელ კიდევ შეგვეკითხა და პასუხს დაელოდა. მაგრამ მე სავსებით სერიოზულად ვუთხარი: ეჰ, სოსო, რა გრძელი ყოფილა, არ გიხდება. და თვალი ვუყავი ჩინჩალას. მანაც დაუმატა: ბიჭო, გრძელი – გრძელია, მაგრამ ხედავ, რა განიერიც ყოფილა.

სოსო გადაირია, პირდაპირ ცოფებს ჰყრიდა: ეხლა მეუბნებით ამას? თვალები სადა გქონდათ? ჩვენ კი თავს ვიმართლებდით, იმდენ ხალხში კარგად ვერ დავინახეთ-თქო. ბოლოს, როგორც იყო, დავამშვიდეთ. წავიდეთ, გამოვაცვლევინოთ-მეთქი. გაბრაზებულმა სოსომ ახალი პალტო ქაღალდში გაახვია და რამდენიმე წუთით გარეთ გავიდა. ჩვენც ეს გვინდოდა – ახალს ქაღალდი შემოვხსენით, კარადაში შევკიდეთ, „დორჩარი“ დავკეცეთ და გახვეული სოსოს დავახვედრეთ.

წამოვედით მაღაზიისაკენ, ნოდარი თავს ძლივს იკავებდა, რის გამოც სოსოს რისხვა დაიმსახურა. გზაში თუკი ვინმე შეგვხვდა, თან წამოვიყვანეთ სეირის საყურებლად. როცა მივედით, საქონელი უკვე გაეყიდათ, ამიტომ იქ ხალვათობა იყო. სოსოს კი შევყევით მაღაზიაში, მაგრამ მალე გარეთ გამოვედით, ვიცოდით, რა ამბავიც დატრიალდებოდა. ამიტომ შორიდან ვადევნებით თვალს. გაბრაზებულმა სოსომ საყვედურებით მიუგდო გამყიდველს პალტო და გამოცვლა მოითხოვა. შეიქმნა ერთი თათბირ-მოლაპარაკება, ბოლოს გამყიდველი დაყაბულდა გამოცვლაზე, შეკვრა აიღო, გაშალა და რასა ხედავს – რაღაც ძველი პალტო შერჩა ხელში. ჯერ უყურა, ათვალიერა ცნობილი „დორჩარი“, მერე კი, აზრზე რომ მოვიდა, დაეტაკა საწყალ, ასევე შეცბუნებულ სოსოს და სულ აფერისტი და ხულიგანი ეძახა, კინაღამ მილიციასაც გამოუძახეს. როგორც იყო, შერცხვენილი სოსო დაუძვრა გამყიდველებს ხელიდან და დორჩარიანად გარეთ გამოვიდა, სადაც სიცილ-ხარხარით ბიჭები დახვდნენ.

ერთი თვე არ ელაპარაკებოდათ, – თქვა ზურამ.

ნოდარ ზედელაშვილი

# საინტერესო ამბები

### უბიწოების სარტყელი

რენესანსის ეპოქის წინდახედულმა ქმრებმა ცოლების ღალატისგან თავის დასაცავად მექანიკური საშუალება, ე. წ. „უბიწოების“ ანუ „ვენერას სარტყელი“ გამოიგონეს, რომლის წყალობითაც სიყვარულის მიწიერი სამოთხის კარიბჭე საიმედოდ იქნებოდა დაცული.

„უბიწოების სარტყელი“ ოქროს ცხაური გახლავთ, რომელიც ხავერდში გამოხვეული ლითონის ჯაჭვით ქამარზე მაგრდებოდა და თეძოებს, მუცელს და „სხვას“ საიმედოდ იცავდა ხელყოფისაგან.

ქალის სათხოვნელად მისულ სასიძოს დედები ამაყად ამცნობდნენ ხოლმე – ჩვენს ქალს 12 წლის ასაკიდან დღისით და ღამით არ მოუცილებია უბიწოების სარტყელიო. მერე გასაღებს ზარზეიმით გადასცემდნენ ნეფეს და ისიც ახალშეძენილი საუნჯის ერთადერთი მფლობელი ხდებოდა.

ქორწინების ღამის შემდეგ კი სიძე, უთუოდ, ატყობინებდა საწოლი ოთახის კართან მომლოდინე მშობლებსა და ახლობლებს – კლიტე და კარიბჭე ჩემამდე არავის შეულახავსო.

მაგრამ ეპოქამ, რომელმაც უბიწოების ქამრის „მარწუხებში“ მოაქცია ლამაზმანები, მისგან თავის დაღწევის მარტივი და იდუმალი გზაც უჩვენა. საქმე ისაა, რომ კლიტე-გასაღებების ოსტატები, რომლებიც ქმრებს დიდ ფულს ახდევინებდნენ „ვენერას სარტყელში“, ასეთივე დიდი საფასურის გამოძალვით მეორე სათადარიგო გასაღებს „ერთგულ ცოლებს“ აძლევდნენ საიდუმლოდ...

### ერთხელ...

საბჭოთა კავშირში ინგლისის დელეგაციის პატივსაცემად გამართულ საზეიმო შეხვედრაზე, ანდროპოვმა გაზეთის მაგნატს, რობერტ მაქსველს ჰკითხა:

– როგორ გგონიათ, რა შეიცვლებოდა მსოფლიოში, 1963 წელს ჯონ კენედი კი არა, ნიკიტა სერგეევიჩი რომ მოეკლათ?

– ონასისი არასდიდებით არ შეირთავდა ხრუშჩოვის ქვრივს – ნინა პეტროვნას – უპასუხა მაქსველმა.

### გულს ნუ გაიტეხ, ჯეიმს!

31 წლის პიტსბურგელმა ლორა კლიუმონმა სასამართლოში უჩივლა ქმარს და ამ გზით 34 წლის მუშა, ჯეიმს კლიუმონი გახდა აშშ-ის პირველი მოქალაქე, რომელიც ცოლმა სექსუალურ დაუკმაყოფილებლობაში დაადანაშაულა. სარჩელში ლორა მოითხოვს, რომ სასამართლომ აიძულოს ქმარი, კვირაში ოთხჯერ დაამყაროს ცოლთან სექსუალური კავშირი და თითოეული დღის გაცდენაში 500 დოლარიანი ჯარიმა გადაიხადოს.

აი, ცოლიც ასეთი უნდა!..

### მამაცი დედოფლები

ერთი შეხედვით, ისინი სავსებით უდარდელნი არიან, – არც სიყვარული აკლიათ და არც ფუფუნება, თავს უამრავი დიდებული და მსახური ახვევიათ.

მაგრამ სამეფო კარის ბრწყინვალება მხოლოდ გარეგნული ხიბლია. ევროპელ დედოფლებს მუდამ საფრთხე ემუქრებათ, თუმცა მცველები და ერთგულები არ აკლიათ, – ქურდავენ კიდეც, მოკვლითაც ემუქრებიან...

ზოგი გვირგვინოსანი თავადვე, სხვის დაუხმარებლად, უმკლავდება თავდამსხმელს.

რამდენიმე წლის წინ, ელისაბედ II-ის საძინებელში ვიღაც „ცნობისმოყვარე“ შეიპარა, მიუხედავად იმისა, რომ ინგლისის დედოფლის სიმშვიდეს ასობით მცველი დარაჯობდა. ელისაბედი არ დაიბნა, დაუპატიჟებელ სტუმარს გულითადი საუბარი გაუბა და თან შეუმჩნევლად მცველებს უხმო.

ნიდერლანდების დედოფალ ბეატრიქსს ერთ-ერთი ქვეშევრდომი მოკვლით ემუქრებოდა. პოლიციამ, როგორც იქნა, მოიხელთა იგი, მანიაკი – ვინმე 50 წლის პენქი გამოდგა. დედოფალმა, იმის მაგიერ, რომ მისი დასჯა ებრძანებინა, შეიწყალა – ცოდვაა, ფსიქიკურად დაავადებულიაო.

ბელგიის დედოფალი პაოლა, ძალზე მამაცი ადამიანია. სულ არ უჭირს თავის დაცვა. ჩინებულად იცის კარატეს ილეთები და, იარაღის ტარება რა საკადრისიაო, – ბრძანებს.

### ყურებმა „გასცეს“...

ქურდი სანამ გააღებდეს კარებს, ჯერ ყურს ადებს კარს, უსმენს და ზედ ყურის ანაბეჭდებსაც სტოვებს. ჰონკონგელი პოლიციელების აზრით, იგი თითის ანაბეჭდივით განუმეორებელია, მაგრამ მათდა სამწუხაროდ, სასამართლო აინუნშიც არ აგდებს ამ ამბავს.

გლაზგოს უნივერსიტეტის თანამშრომლებმა გამოიკვლიეს და ჰონკონგელებს კვერი დაუკრეს – ამგვარი მეთოდით ბევრი ბანდიტი მოჰყვა ბადესო.

ბრიტანეთის პოლიციის იდენტიფიკაციის განყოფილების უფროსმა პოლ ფესტმა თქვა, თითების ანაბეჭდების კვლევის სპეციალისტებს თითებიდან გამოყოფილი ეხმარება, ყურიც ასეაო...

### რა დროს ასაკია

ქალია უფროსი ქმარზე? ასეთი შემთხვევები თავზე საყრელია:

– ამერიკელი მოცეკვავე აისიდორა დუნკანი 44 წლის იყო, როცა 26 წლის რუსი პოეტი სერგეი ესენინი გაიცნო და შეიყვარა.

– როზა ლუქსემბურგი პირად ცხოვრებაშიც რევოლუციონერი გამოდგა. 35 წლისას მგზნებარედ შეუყვარდა თავისი მეგობრის – კლარა ცეტკინის 21 წლის ვაჟი.

– მიუხედავად 10 წლიანი ასაკობრივი სხვაობისა, დიდმა მხატვარმა სალვადორ დალიმ თავდავიწყებით შეიყვარა მშვენიერი გალა. სიყვარულით დაბრმავებული მხატვარი ასაკოვან მეუღლეს ტილოზეც კი ახალგაზრდად წარმოსახავდა.

– 43 წლის ედიტ პიაფისა და ბერძენი ჭაბუკის ლეო სარაპოს ქორწინებამ პარიზში, თავისუფლების აკვანშიც კი, ალიაქოთი და მითქმა-მოთქმა გამოიწვია.

– პოპულარული კინოსა და ესტრადის ვარსკვლავი ლაიზა მინელი ამტკიცებდა, რომ წინა სამმა ქორწინებამ ვერ მიანიჭა იმდენი სიხარული და აღმაფრენა, რაც მასზე 16 წლით უმცროს სკულპტორ ბაისონთან ცხოვრებამ.

– თანამედროვე როკის საოცრება თინა თერნერი, საქვეყნოდ აცხადებს, რამდენად ბედნიერია ბოლო 10 წლის მანძილზე, 15 წლით უმცროს ქმართან.

– საქვეყნოდ ცნობილი ესტრადის რუსი მომღერალი ალა პუგაჩოვა აღფრთოვანებულია თავისზე 35 წლით უმცროსი ქმრით კირკოროვით.

ასე რომ, ქალისთვის მთავარი სიყვარული ყოფილა, ასაკი კი... ვისთვის როგორ!

### კარდინალ რიშელიეს ინტიმური ოინები

მწვანეში ჩაფლული ზღაპრული სასახლე ეკუთვნოდა არმან რიშელიეს – საფრანგეთის მეფის ლუდოვიკო XIV-ის შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვან პიროვნებას.

საფრანგეთის ისტორიაში, მან პირველმა შექმნა ისეთი ჯაშუშური ქსელი, რომ იცოდა ყველაფერი, რაც ქვეყანაში ხდებოდა. მისი ძალაუფლება უსაზღვრო იყო. გადაწყვიტა თავისი ლამაზი ახალგაზრდა დისწული მარია მიეთხოვებინა მეფის ძმისთვის, მაგრამ ეს ქორწინება ჩაიშალა. მალე კარდინალმა თვითონ გააბა სასიყვარულო კავშირი მარიასთან, რომელმაც ბიძა-კარდინალს 4 შვილი აჩუქა. მიუხედავად მრავალრიცხოვანი საყვარლებისა, მარადიული იყო სიყვარული მარიასადმი. სწორედ მის ხელში დალია სული კარდინალმა 1642 წლის 4 დეკემბერს.

უცნაურ დამოკიდებულებას იჩენდა რიშელიე დედოფლის, ანა ავსტრიელის მიმართ. ანას სიყვარულით აღტაცებულმა, ცბიერმა კარდინალმა სრულიად დაკარგა ჩვეული სიფრთხილე და გაება ანას მეგობრის, ჰერცოგინია დე შევრეზის დაგებულ მახეში. მან დაარწმუნა რიშელიე: „დედოფალი თანახმაა გაატაროს თქვენთან რამდენიმე საათი. ამისათვის უნდა გაუგზავნოთ სასიყვარულო ბარათი, ხოლო პაემანზე უნდა მიხვიდეთ ჯამბაზის ტანსაცმლით და მისი უდიდებულესობისათვის სარაბანდა იცეკვოთ...“

საოცარია, მაგრამ კარდინალი დათანხმდა და ზუსტად ასე მოიქცა. ანა ავსტრიელმა არ დააყოვნა და მეუღლეს მოახსენა პირველი მინისტრის ორაზროვანი მოქმედება. ლუდოვიკოს რისხვას საზღვარი არ ჰქონდა, მაგრამ გაქნილმა კარდინალმა აქაც მოახერხა თავის დაძვრენა და ქალები გაწბილებული დატოვა.



– დღეს როგორც იქნა, პენსია ავიღე და კანფეტები გიყიდე. შევინახავ და ცოტ-ცოტას მოგცემ, გამოგიზოგებ.
– მართლა, ბებო? წამოდი, გაჩვენებ, სად უნდა დამალო...

მხატვარი ჯემალ კვანტალიანი

– სად გარბიხარ, გოგი?..
– განცხადება შემაქვს სასამართლოში, ცოლს ვეყრები.
– რატომ კაცო? რა მიზეზით?..
– ექვსი თვეა, არ მელაპარაკება, ხმას არ მცემს...
– შე სულელო, ხომ არ გაგიჟდი, ეგეთ ცოლს სად ნახავ?...



მხატვარი ჯემალ კვანტალიანი

№5(17)
ყოველთვიური

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბაში

გამოდის საზოგადოებრივ საწყისზე

რედაქცია პასუხს არ აგებს გამოქვეყნებული მასალების შინაარსზე. ავტორები თავად აგებენ პასუხს ფაქტების, ციფრებისა თუ ციტატების სიზუსტეზე

დამფუძნებელი: ვაჟა სალუქვაძე – საზოგადოებისა და სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე, გამომცემელი.

საბჭოს წევრები: ჭაბუა ამირეჯიბი, ნანული ბარათაშვილი, ზურაბ გვეტაძე, ვანო ზაზაშვილი, ნოდარ ზედელაშვილი, ჯემალ კვანტალიანი, ჯემალ მიქელაძე, ილია ტაბაღუა, მიხეილ ქვლივიძე.

სტილისტ-კორექტორი: დონარა ბერიძე

მოამზადა და გამოუშვა რედაქტორმა ვაჟა სალუქვაძემ. თბილისი 380064, მიხეილ წინამძღვრიშვილის ქუჩა, №114. ტელ.: 95-45-90.